პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 217 (18459) კვირა, 19 სექტემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ერთმანეთს ხმაურით მიჰყვებიან ტყვია-თუთიის მადნით — აქაური — კვაისა-ხოხის მთის წიაღის სიმდიდრით პირთამდე გავსებული ვაგონეტები მამდიდრებელი ფაბრიკისაკენ. ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ ამოიღეს აქ პირველი მადანი, რომელიც ძვირფას მინერალებს შეიცავდა. დღეს კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთსამმართველო საქართველოს ფერადი მეტალურგიის უდიდესი საწარმოა.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ვახტზე გრაფიკის გასწრებით შრომობს „კაპიტალნაიას“ შტოლნის ხამთოელთა კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს ხაზბულათ ბაგაევი (სურათზე). მოწინავე მნგრეველი უკვე 17 წელია იღებს ფერადი მეტალურგიისათვის ძვირფას ნედლეულს. თავის ბრიგადასთან ერთად მან პირობა დადო წლიური დავალება 7 ნოემბრისათვის გაანაღდოს.

ლ. გუსოევის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჯანმრთელობის დაცვა — სახალხო საზრუნავი

სოციალურ ამოცანათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე, რომელმაც ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარების ფართო პროგრამა დასახა. ამ დებულებიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორი ყურადღებით არის გარემოსილი ადამიანი ჩვენში. ეს სიტყვები ნაკარნახევია აგრეთვე იმ შეუნელებელი ყოველდღიური ზრუნვით, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა რომ იჩენენ საბჭოთა საზოგადოების თითოეული წევრის, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მიმართ.

დიდი სოციალური და ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელების შედეგად ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა შეძლეს მომსახურების შემდგომი დახვეწისა და სრულყოფისათვის მიეღწიათ. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მნიშვნელოვნად განმტკიცდა სამედიცინო დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაფართოვდა სტაციონარულ დაწესებულებათა ქსელი. ჩვენი რესპუბლიკის ჯანმრთელობის კერებს შეემატა და დღითიდღე ემატება ახალი საავადმყოფოები და პოლიკლინიკები. თვალსაჩინოებისათვის რამდენიმე ციფრს მოვიშველიებთ. ბოლო ათ წელიწადში ჩვენში საავადმყოფოების საწოლთა საერთო რაოდენობა 12340 ათასით გაიზარდა, ხოლო პოლიკლინიკების გამტარუნარიანობა ცვლაში 13 ათასს უდრის.

თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში მსხვილმა სამკურნალო კერებმა ახალ, თანამედროვე სამედიცინო ტექნიკით და მოწყობილობით აღჭურვილი ნაგებობანი მიიღეს. გაუმჯობესდა მუშაობა პირველადს რგოლებში — პოლიკლინიკებში, სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დაწესებულებებში, სოფლად საუბნო საავადმყოფოებსა და ამბულატორიებში, ამაღლდა პროფილაქტიკური მომსახურება, განვითარდა სპეციალიზებული სამედიცინო დახმარება და სხვა. მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რადგან ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ სამედიცინო მომსახურების დონეს, რომელსაც პარტია და მთავრობა ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისგან მოითხოვს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღეს დადგენილება „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების დამატებითს ღონისძიებათა შესახებ“, სადაც ღრმად და საფუძვლიანად არის გაანალიზებული საქმის ვითარება და წარმატებებთან ერთად მითითებულია ნაკლოვანებანი.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ გაუმჯობესდა სამედიცინო დახმარების ხარისხი, მაგრამ მისი შემდგომი ამაღლებისთვის არ გამოიყენება მთელი არსებული შესაძლებლობანი, ძალზე ნელა მიმდინარეობს ნაკლოვანებათა აღმოფხვრა საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სოფლის ამბულატორიების, სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციაში და სხვა. ყველა ეს ნაკლი ახასიათებს ჩვენი რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურსაც.

ზოგიერთი ჩვენი სამედიცინო პერსონალი ჯერ კიდევ არღვევს წესრიგს და სათანადოდ არ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას. ფაქტების დასაძებნად შორს წასვლა არ დაგვჭირდება. თვალის სნეულებათა რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში პაციენტთა მომსახურების მდგომარეობის შესწავლამ სერიოზული ნაკლოვანებანი გამოავლინა. პალატებში უსუფთაობაა, არ იცავენ სანიტარიულ ნორმებს, დგამენ ზედმეტ საწოლებს, ავადმყოფებს აძლევენ ძველ თეთრეულს, დახეულ პიჟამებსა და ხალათებს, მაშინ როცა საწყობში ასობით ცალი ახალი თეთრეული და უხმარი ტანსაცმელი აწყვია. ამ ფაქტიდან ნათლად ჩანს, რომ ავადმყოფთა მომსახურების ხარისხი ძალზე ჩამორჩება საავადმყოფოს რესურსებსა და შესაძლებლობებს, მისმა ადმინისტრაციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ მოადუნეს მომთხოვნელობა და კონტროლი, ვერ უზრუნველყვეს მომსახურე პერსონალის შრომის სწორი ორგანიზაცია და ამას შედეგიც არასასურველი მოჰყვა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის მუშაობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური ამოცანაა. ამიტომ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა და საბჭოთა ორგანოებმა უდიდესი ყურადღება უნდა დაუთმონ სამედიცინო დარგის შემდგომი განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის ახალ, დამატებითს ღონისძიებებს.

შეუწყნარებელია, რომ რესპუბლიკაში ნაკლოვანებებია სამედიცინო კადრების დამკვიდრებასა და მათი შრომის და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში. ეს განსაკუთრებით მაღალი მთის რაიონებს ეხება. დამაკმაყოფილებლად არ მუშაობს რესპუბლიკის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური, ნაკლოვანებებია ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობაში, სამკურნალწამლო საშუალებათა მიწოდების რეგულირებაში. ყოველივე ამის დაუყოვნებლივ მოგვარება ევალებათ შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჯანმრთელობის დაცვის ახალი ობიექტების მშენებლობას. ამ დარგში ჩამორჩენა უპირველესად სამშენებლო ორგანიზაციების სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელობის მოუქნელ მუშაობაზე მიუთითებს. სამშენებლო ორგანიზაციები, მისი სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელები უნარიანად უნდა გაუძღვნენ საქმეს, გააუმჯობესონ შრომის ორგანიზაცია, დროულად და ხარისხიანად შეასრულონ სამუშაოები, ჩააბარონ პატრონს ახალი ობიექტები.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომის დაცვის საკითხები მთლიანად არ არის გადაწყვეტილი. ამიტომ მთავარია განისაზღვროს ჰიგიენის მეცნიერების შემდგომი განვითარების, მატერიალურ-ტექნიკური და კვლევითი ბაზების განმტკიცების, მეცნიერ მედიკოსთა და ტექნიკურ მუშაკთა კონტაქტების გაძლიერების გზები, საჭიროა აგრეთვე გამოიძებნოს წარმოებასთან ჰიგიენის მეცნიერების შემდგომი ინტეგრაციის ოპტიმალური ფორმები ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, მისმა უწყებებმა, სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით ხელი უნდა შეუწყონ დაავადებათა პროფილაქტიკის გაძლიერებას, აამაღლონ მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალისა და ბავშვის სამედიცინო შემოწმების, დისპანსერიზაციის ხარისხი, გააუმჯობესონ სკოლამდელი ბავშვების სამედიცინო მომსახურება. ასეთ ვითარებაში მთავარია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის სრულყოფა, უწინარეს ყოვლისა სოფლად, სადაც აუცილებელია გაფართოვდეს და განმტკიცდეს საექიმო ამბულატორიების ქსელი, გაუმჯობესდეს სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების მუშაობა, სამკურნალწამლო საშუალებებით სამედიცინო დაწესებულებებისა და აფთიაქების მომარაგება.

ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელები, ექიმები, მედიცინის მუშაკები მოვალენი არიან ღრმად შეისწავლონ პარტიისა და მთავრობის ეს დადგენილება და უზრუნველყონ მისი განხორციელება. ამ საქმეს კი სისტემატური კონტროლი უნდა გაუწიონ ზემდგომმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამკურნალო დაწესებულებებში დაავადებათა სწორ დიაგნოსტიკასა და ლაბორატორიული მუშაობის გაუმჯობესებას.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, მისი უწყებები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ენერგიულად იბრძოლებენ, რათა ხელი შეუწყონ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლებას, იმ მიზანდასახულებათა და ამოცანათა შესრულებას, პარტიამ და მთავრობამ რომ დაგვისახა ახალი დადგენილებით „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

60 საიუბილეო ვახტზე!

ბათუმი

ხალხთა მეგობრობის ორდენოსან ბათუმის ნავსადგურის საერთო წარმატებებში თავისებური წვლილი შეაქვთ ყველა სახმელეთო და საზღვაო სამსახურებს. მათ შორის კაპიტნის სამსახურის მუშაკებსაც. მათი საქმიანობა სხვებისაგან განსხვავებულია: ნავმისადგომთან მიჩენილ ადგილებზე აყენებენ გემებს და ხომალდები გაჰყავთ ნავსადგურიდან, დაყენება-გაყვანის პროცესებში გემების მანევრირებას კატერებით ახერხებენ. კაპიტნის სამსახურის უნარიან და სწრაფ მოქმედებაზეა დამოკიდებული დროის რეჟიმის დაცვა, რეისში ხომალდების ვადამდე გაშვება.

კაპიტნის სამსახურის ლოცმანები, მატროსები და სხვა მუშაკები წარმატებით ასრულებენ 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებებს. ამაზე ციფრებიც მეტყველებს. მარტო განვლილ ნახევარ წელიწადში საოპერაციო პროცესებს 1324 საათის ნაცვლად მათ 736 საათი მოანდომეს. ეს დიდი შრომითი გამარჯვებაა.

წარმატება ძირითადად განაპირობა ხომალდის ეკიპაჟისა და კაპიტნის სამსახურის მუშაკთა შეთანხმებულმა მუშაობამ, რის შედეგადაც წლის დამდეგიდან დაიზოგა დიდძალი სათბობი, უფრო მწყობრი გახდა გემების მანევრირება. (საქ. კორ.).

თელავი

დგანან რა საიუბილეო შრომითს ვახტზე, თელავის რაიონის მშრომელები ყოველ დამკვრელურ კვირას ახალ-ახალი წარმატებებით აცილებენ. აქაური საკვებმომპოვებლებისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო გასული ბოლო კვირები, რომლებიც საკვების დამზადების ერთთვიურს დაემთხვა, სწორედ ამ დღეებში გაანაღდეს მათ უხეში საკვების დამზადების წლიური დავალება: გეგმით გათვალისწინებული 14.809 ტონის ნაცვლად დამზადდა და ფერმებთან დაბინავდა 16 ათას ტონაზე მეტი უხეში საკვები.

უხეში საკვების დამზადების საგეგმო დავალებები გადაჭარბებით შეასრულეს კურდღელაურის, ვარდისუბნის, ფშაველის, კისისხევის, ნაფარეულის, გულგულის, შალაურის და სხვა საზოგადოებრივ მეურნეობათა საკვებმომპოვებლებმა.

უხეში საკვების დამზადება გრძელდება.

რაიონში დაიწყო სიმინდის აღება და ჩალის დამზადება. ეს რაოდენობრივად კიდევ უფრო გაზრდის და ამავე დროს გაამრავალფეროვნებს მეცხოველეობის საკვებ ბაზას.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სილოსის დამზადებაც. (საქ. კორ.).

მოსავალს იღებენ მელიორატორები

კარტოფილის, ლობიოს, სუფრის ჭარხლის, კიტრისა და პამიდორის პირველი მოსავალი — სულ 15 ტონა პროდუქცია მიიღეს საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებმა თავიანთ დამხმარე მეურნეობაში, რომელიც გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოში შექმნეს. მათ დაგეგმილი აქვთ მოიწიონ აქ 50 ტონა ბოსტნეული.

მელიორატორებს განზრახული აქვთ მომავალში აითვისონ დამატებითი ფართობები, გაკაფონ ჯაგნარები და გაწმინდონ ქვიანი ნიადაგები, დათესონ საკვები კულტურები. როცა საკვები ექნებათ, დამხმარე მეურნეობაში მსხვილფეხარქიან პირუტყვსაც იყოლიებენ.

ხორცის საწარმოო დამხმარე მეურნეობები შექმნეს აგრეთვე აბაშის, ახალციხის, ლაგოდეხის, კოლხეთისა და ალაზნის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოებმა. აქ მოგვარებული აქვთ გოჭების სუქება. საკვებად იყენებენ სასადილოს ნარჩენებს. გასულ წელს ამ ორგანიზაციებმა 19 ტონა ღორის ხორცი აწარმოეს.

მაგრამ მელიორატორთა აგრარული „საამქრო“ მარტოოდენ ამას როდი სჯერდება. საგარეჯოს, თელავის, ადიგენისა და წულუკიძის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოებთან მიმდინარე წელს შეიქმნა სატბორე მეურნეობანი, სადაც ამრავლებენ თეთრ ამურს, დიდთავას, კობრს.

ამ ხუთწლედში სამინისტროს სისტემის დამხმარე მეურნეობებს დაგეგმილი აქვთ აწარმოონ 240 ტონა ხორცი, 108 ტონა თევზი, 500 ტონა ბოსტნეული, დიდძალი ხილი. (საქ. კორ.).

დ რ ო ა რ ი თ მ ე ნ ს

ლენინგორი. („კომუნისტის“ საქ. კორ.). ალპურ საძოვრებზე ახლა თივის დამზადების საუკეთესო დროა. მალე ბალახი გადამწიფდება, კიდეც აცივდება და მერე შეუძლებელი იქნება საკვების დამზადება. ამ საუკეთესო დროს რატომღაც არ იყენებენ ლენინგორელი საკვებმომპოვებლები. ლენინგორის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებსა და საკვებწარმოების სამეურნეობათაშორისო გაერთიანებას ჯერჯერობით მხოლოდ 8000-მდე ტონა უხეში საკვები აქვთ დამზადებული, ეს დავალების მეოთხედიც არ არის.

განსაკუთრებით ჩამორჩნენ დაიანეთელები, აქ უხეში საკვების მხოლოდ 7 პროცენტი აქვთ დამზადებული. მათ არ უნდა დაავიწყდეთ გასული ზამთრის მძიმე მდგომარეობა, როცა პირუტყვს საკვები შემოაკლდა.

დრო არ ითმენს, ლენინგორელმა საკვებმომპოვებლებმა თითოეული საათი მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ. სპეციალისტებმა და რაიონის ხელმძღვანელობამ მთელი მუშაობა ახლა საკვების დამზადებისაკენ უნდა გადართონ. ყველა ღონე უნდა იხმარონ, რომ საკმაო საკვები დაუმზადონ პირუტყვს.

გვატყობინებენ საქდესის კორესპონდენტები

ჩვენს ქვეყანაში

● მოსკოვი. ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე შრომის საერთაშორისო განაწილების უპირატესობას დამაჯერებლად გვიჩვენებენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეროვნულ განწყობილებათა მასალები გამოფენაზე „ქიმია-82“, რომელიც საბჭოთა კავშირის დედაქალაქში გაიხსნა. სრულყოფილი მოწყობილობანი, ეფექტიანი მასალები, პროგრესული პროცესების მრავალი სახეობა შეიქმნა პარტნიორი ქვეყნების სპეციალისტების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად. მათ მიერ გამოფენაზე წარმოდგენილ საუკეთესო ნიმუშებს საპატიო დიპლომები მიენიჭათ.

● ლენინგრადი. ლენინგრადის ოლქის მხვნელ-მთესველებს სოფლის რაციონალიზატორების მიერ დამზადებული ახალი საშრობი დანადგარები დაეხმარება სათეს კონდიციამდე აიყვანონ დანოტიებული თესლი. დანადგარების წარმოებას შეუდგნენ ლენინგრადის ოლქის სოფლტექნიკის გაერთიანების სახელოსნოები. დამხარისხებელ მანქანებთან კომპლექსში დანადგარს ერთ საათში შეუძლია ოც ტონაზე მეტი თესლის გადამუშავება.

● მინსკი. მინსკის სატრაქტორო ქარხანას ერთი თვის მუშაობისათვის ეყოფა ის ენერგია, რომელიც ქალაქის მშრომელებმა წლის დამდეგიდან დაზოგეს. კოლექტივებს ეკონომიის წყაროების გამოვლენაში ეხმარება „ენერგიის“ კომპლექსური პროგრამა, რომელიც შეიმუშავა პარტიის საქალაქო კომიტეტთან და ქალაქის აღმასკომთან არსებულმა საკოორდინაციო საბჭომ. მისი რეალიზაციის შედეგად მიმდინარე ხუთწლედში დაიზოგება ნახევარ მილიონამდე ტონა პირობითი სათბობი, თითქმის 25 მილიონი მანეთი.

● ოდესა. ოდესის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში ნერგავენ გემების დამუშავების ავტომატიზებულ სისტემას: ნავსადგურის უდიდეს გადასატვირთავ კომპლექსში ამოქმედდა მისი პირველი რიგი. მართვის ავტომატიზებული სისტემის მთლიანი ამუშავების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდება ნავსადგურის გემსადგომებთან ფლოტის მოცდენა.

● ანგრენი (ტაშკენტის ოლქი). უზბეკეთის ქალაქ ანგრენის კლუბ „სამთოელში“ შეიქმნა ბავშვთა ორკესტრი. ნორჩი მუსიკოსები, რომელთაგან ყველაზე უფროსი ხუთწლინახევრისაა, — ქალაქის საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელები არიან. ნორჩებმა პირველი კონცერტი მიუძღვნეს თავიანთ დედებსა და მამებს, ამჟამად ორკესტრი ანგრენის საბავშვო ბაღებში გასტროლებისათვის ემზადება.



● სმოლენსკის ოლქი. კარგი სახელი მოიხვეჭა სტუდენტთა იური გაგარინის სახელობის ინტერნაციონალურმა სამშენებლო რაზმმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და გმირი ქალაქის წარმომადგენლები.

სურათზე: იური გაგარინის დედა ანა ტიმოთეს ასული სტუდენტთა რაზმის მებრძოლებთან.

● მასშტაბურია მეთერთმეტე ხუთწლედის სოციალური პროგრამა. იგი კომპლექსურად მოიცავს მოსახლეობის ყოველგვარ მოთხოვნილებებს. ალტაის მხარის მეფრინველეობის ფაბრიკა „მოლოდიოჟნაიაში“ დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვთა ფიზიკურ აღზრდასა და ჯანმრთელობის დაცვას.

სურათზე: ექიმი ა. მილოხეროვი სინჯავს ბავშვებს.

● უზბეკეთის სსრ. თანასწორთა შორის თანასწორი ახალგაზრდობა.

საქდესის ფოტოქრონიკა.

დამკვრელურ მშენებლობებზე

თუ მეტი ელექტროენერგია გვინდა...

რეიდი „ოჩრდება“ [illegible]

ხუთ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მომხმარებლებმა ენგურის ჰიდროელექტროსადგურიდან პირველი, 71 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია მიიღეს. საერთოდ ამ დროის მანძილზე [illegible]

[illegible] აი, წლეულს პირველად შეიქმნა საგეგმო დავალებათა ჩავარდნის საფრთხე. თუმცა ამის პირველი სიმპტომები შარშანაც შეიმჩნეოდა. რა ილონეს ენგურჰესელმა მშენებლებმა იმისათვის, რომ [illegible]

[illegible] ხოლო 16 დღის მანძილზე სანახევროდაც არ ვყოფილვართ დატვირთული. აგვისტოს პირველი ოთხი დღეც უცემენტოდ ვიყავით... თუმცა რა აზრი აქვს ასეთ ჩამოთვლას, — ხელი ჩაიქნია მაღლივი კაშხალის მშენე[illegible]

[illegible] დავრწმუნდით, როცა უშუალოდ მშენებლობა დავათვალიერეთ, თვით მშრომელებს გავესაუბრეთ. მაღლივი კაშხალის მშენებლებს ერთი კარგი ტრადიცია აქვთ: აქ მუდამ ზეიმით აღნიშნავენ ყოველი [illegible]

მინისტრის პასუხიაო, თქვა. პასუხში ახსნილია ცემენტით ჩვენს მომარაგებაში არსებული ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზები. სამინისტროს ქარხნის ხელმძღვანელობისათვის დაევალებია არსებული ჩამორჩენის დაძლევისა და [illegible]

[illegible] ხელმძღვანელს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს კ. აკობიასაც მშენებლობაზე შევხვდით. საუბრისას ვერც მან დამალა თავისი გულისწყრომა და გულისტკივილი. რა არ ვილონეთ, მაგრამ სასიკეთო გარდატეხას ჯერჯერობით მაინც ვერ ვეღირსეთო, გვითხრა. მერე ჯიბიდან რაღაც საბუთი ამოიღო — რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბოლოდროინდელი სესიის პრეზიდიუმს, როგორც დეპუტატმა, შეკითხვით მივმართე, დახმარება ვთხოვე ცემენტით მომარაგებაში. და ეს ამასთან დაკავშირებით საშენ მასალათა მრეწველობის [illegible]

[illegible] ელექტროსადგურს. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დარჩენილი სამუშაოების თითქმის 70 პროცენტი აქ სწორედ მაღლივი კაშხალის მშენებლობის წილად მოდის, მაშინ უფრო ნათელი წარმოსადგენი იქნება, რამდენად შეუწყნარებელია საშენი მასალებით მისი ასე ცუდი მომარაგება. თუ გვინდა, მეტი ელექტროენერგია გვქონდეს, უნიკალური თაღოვანი კაშხალი ასეთი ნელი ტემპით არ უნდა „იზრდებოდეს“.

რ. რუსია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

19 სექტემბერი

ტყის მუშაკის დღეა

თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს—ტყის მუშაკის დღეს კარგი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ თბილისის სატყეო მეურნეობის მშრომელები. სურათზე: თბილისის სატყეო მეურნეობის მუშაკთა ჯგუფი (მარცხნიდან) — ინჟინერი ვ. დემეტრაძე, მთავარი მეტყევე ჯ. ბერიშვილი, კოჯრის სატყეო მეურნეობის უფროსი გ. აბულაძე, თბილისის სატყეო მეურნეობის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მეტყევე შ. მეფარიძე და ინჟინერი გ. მიქიაშვილი.

ვ. გენგიურის ფოტო.

გაჰყავხორცი-ელით სასურსა-თო პროგრამა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე განაცხადა:

„ამას წინათ ვეწვიე ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსს. ყველას გირჩევთ ნახოთ. უნდა მოგახსენოთ, რომ უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე ეს კომპლექსი ჩვენ თვალწინ გარდაიქმნა და ახლა ყველა საფუძველი გვაქვს მივიჩნიოთ, რომ დღეს იგი აკმაყოფილებს ყველაზე მაღალ მოთხოვნებს".

მეურნეობა-კომპლექსმა მართლაც ფეხი აუწყო ცხოვრებას: ყოველწლიურად ზრდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის [illegible]

[illegible]

კომპლექსი ჯანდარაში

[illegible]

...სრულფასოვანი საკუთარი წარმოების საკვებით.

წელს ამ მხრივ კიდევ უკეთ მოეაწყეთ მუშაობა. დიდ ფართობზე დავთესეთ ყველაზე მოსავლიანი საკვები კულტურები: სიმინდი, ხორბალი, ქერი, შვრია, იონჯა, მრავალწლოვანი ბალახები.

ჯანდარელმა მეცხოველეებმა შესანიშნავად შეისწავლეს ხორცის წარმოების ინდუსტრიული ტექნოლოგია. ეს პროცესი გამოსაზრდელი კომპლექსიდან იწყება. აქ მეურნეობებიდან შემოჰყავთ ოცი დღისა და მეტი ასაკის ხბორები, რომელთაც ექვსი თვის ასაკამდე ზრდიან. ამჟამად კომპლექსი 3 ათასამდე ხბოს იტევს, მალე იგი კიდევ უფრო გაიზრდება. ხბორებს, როგორც წესი, მხოლოდ მაღალხარისხოვან საკვებს აჭმევენ.

კომპლექსში ყველა შრომატევადი პროცესი მექანიზებული და ავტომატიზებულია. სამართავ პულტებთან დგანან უმთავრესად ახალგაზრდები, რომლებიც აქ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდნენ. მათ გულით შეიყვარეს მეცხოველის პროფესია, გვახარებს მათი შრომითი ენთუზიაზმი, საქმით გატაცება, გერგილიანობა. სსრ კავშირის შექმნის მე-60 საიუბილეო წლის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის ინიციატორებად მეურნეობაში გამოვიდნენ ფატიმა ბაგიროვა და მინათა აზიმოვა, მათ კოლექტივის ყველა წევრი გაიყოლიეს.

ხბორების გამოსაზრდელი განყოფილებიდან დაახლოებით 120 კილოგრამი წონის ექვსი თვის ასაკის მოზვრები ღია ტიპის სასუქ მოედნებზე გადაჰყავთ. ოთხ ფერმას ოცდათხუთმეტი ასეთი მოედანი აქვს. თითოეული 250 სულ პირუტყვს იტევს. ამრიგად, ფერმაში ერთდროულად 2.500 სული პირუტყვი სუქდება და მათ [illegible]

...ამოქმედება:

მეურნეობა განიცდიდა სარწყავი წყლის ნაკლებობას. ექვსი ათასი ჰექტარი ფართობიდან ყოველწლიურად მორწყავი გვრჩებოდა 1.500-2.000 ჰექტარი. ზემდგომი ორგანოების დავალებით „საქმთავარწყალმშენმა" შარშან ააგო გაჩიანის სატუმბი სადგური, რომლის შემწეობით ჩვენს განკარგულებაში არსებული მიწები მთლიანად მოირწყვება და მკვეთრად გაიზრდება საკვები კულტურების მოსავლიანობა. ჰექტარზე საშუალოდ თუ მივიღებთ 250 ცენტნერ მწვანე მასას, მეცხრე ხუთწლედის საშუალო წლიურ დონესთან შედარებით წელიწადში 25 ათასი ტონით გაიზრდება მწვანე მასის წარმოება. ეს არის 4.300 ტონა საკვები ერთეული, ანუ დამატებით 450 ტონა ხორცი. სწორედ რწყვის კულტურის ამაღლება მიგვაჩნია სასურსათო პროგრამის განხორციელების ერთ-ერთ რეალურ რეზერვად.

ამჟამად სახელმწიფოსათვის მიყიდული თითოეული პირუტყვის საშუალო წონა 1980 წელთან შედარებით 60 კილოგრამით მეტია. ეს თვალსაჩინო მატებაა, მაგრამ, ვფიქრობთ, ჩვენი სპეციალიზებული მეურნეობისათვის მაინც ცოტაა. ამიტომ ყველა ღონისძიებას მივმართავთ, რომ ჩასაბარებელი თითოეული პირუტყვის წონა ავიყვანოთ 380 კილოგრამამდე. ამრიგად, 8-9 ათასი სული საქონლის გასუქების შემთხვევაში წელიწადში დამატებით მივიღებთ 400-450 ტონა ხორცს.

მიზნად დავისახეთ პირუტყვის საშუალო სადღეღამისო წონანამატება საშუალოდ 100 გრამით გავზარდოთ და 700 გრამს გადავაჭარბოთ. ეს სავსებით რეალურად მიგვაჩნია. ამას მივაღწევთ პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებით და ზოოვეტმომსახურების საქმეში არსებული [illegible]

...ლისა, გვახარებს მიღწეული წარმატებები, მაგრამ ერთი წუთითაც არ გვავიწყდება სადღეისო მოთხოვნა: შარშანდელი მიღწევა წლევანდელ ნორმად მივიჩნიოთ და ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად დავირაზმოთ, წარმატებით განვახორციელოთ პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ვაწარმოოთ მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

დ. ბიწაძე,

„კომუნისტის" სპეც. კორ.

მინისტრების საუბარი

17 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვდა ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრს პ. ვ. ნარასიმჰა რაოს, რომელიც ინდოეთის მთავრობის დელეგაციას მეთაურობს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მთავრობათშორისი კომისიის სხდომაზე.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის მთელ რიგ საკითხებზე და ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო პრობლემებზე. განხილულ იქნა აგრეთვე საბჭოთა კავშირში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ი. განდის მომავალ ვიზიტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. ამასთან ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ ვიზიტი ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და ინდოეთის ტრადიციული მეგობრობისა და ყოვლისმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. (საკდესი).

მეგობრული შეხვედრა

17 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვდა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შ. მ. დოსტს, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა სამუშაო ვიზიტად.

საუბრის დროს მინისტრებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი როგორც ორმხრივი საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობის საკითხებზე, ისე ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო პრობლემებზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახლო და შუა აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის მდგომარეობას. ამასთან კვლავ აღინიშნა, რომ პოლიტიკურად უნდა მოწესრიგდეს იმ სიტუაციის საერთაშორისო ასპექტები, რომელიც ავღანეთის გარშემო შეიქმნა ამ სუვერენული მიუმხრობელი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში გარედან ჩარევის, მათ შორის შეიარაღებული ჩარევის შედეგად.

ა. ა. გრომიკომ დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის ივნისში ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ერთმანეთს აზრი გაუზიარეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის შუამავლობით და რომ დაითქვა ავღანეთ-პაკისტანის დიალოგის განგრძობა.

შ. მ. დოსტმა განაცხადა, რომ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თავის მხრივ კვლავაც ეცდება მიაღწიოს კონკრეტულ მორიგებებს პოლიტიკური მოწესრიგების საკითხებზე.

მინისტრებმა გადაჭრით დაგმეს ისრაელის აგრესია ლიბანელი, პალესტინელი და სხვა არაბი ხალხების წინააღმდეგ. შ. მ. დოსტმა განაცხადა, რომ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მთლიანად უჭერს მხარს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების იმ პროგრამას, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევის მიერ არის წამოყენებული მიმდინარე წლის 15 სექტემბერს წარმოთქმულ სიტყვაში.

ა. ა. გრომიკომ შ. მ. დოსტის პატივსაცემად გამართა საუზმე, რომლის დროსაც მინისტრებმა ერთმანეთს მიმართეს მეგობრული სადღეგრძელოებით.

საუბარმა და საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებასა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა. (საკდესი).

„საბჭოთა ხალხების ძმური ოჯახი 60 წლისაა"

ვენა. „საბჭოთა ხალხების ძმური ოჯახი 60 წლისაა" — ასეთია ავსტრიის დედაქალაქში მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ბაზრობაზე საბჭოთა კავშირის ექსპოზიციის ძირითა- [illegible]

სპეციალისტების ყურადღებას იპყრობს ლატვიის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მომზადებული სტენდი. რესპუბლიკის რვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აქ წარ- [illegible]

...ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას. წყალქვეშაფრთიანი გემების, ელმავლების, საბურღი დანადგარების მოდელები, მრავალფეროვანი სამრეწველო პროდუქცია, ქართული მიწა-წყლის ბარაქა, მხატვრული ღვინის ნიმუშები.

ობიექტივში ჩეხოსლოვაკია

ჩეხოსლოვაკიის ათიათასობით პიონერს აერთიანებს საერთაშორისო მეგობრობის კლუბები, რომლებიც შექმნილია სკოლების პიონერთა რაზმეულებში, პიონერთა და ახალგაზრდობის სახლებში. ყმაწვილებს ფართო ურთიერთობა აქვთ და კვლავაც ავითარებენ კონტაქტებს მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში მცხოვრებ თანატოლებთან.

● ●

სურათზე: ქალაქ დაჩიცეს ერთ-ერთ სკოლაში შექმნილი ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის წევრები.

ჩდრ-საკდესის ფოტო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დაგმო ისრაელის [illegible]

...ლია, რომ საჭიროა ლიბანის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ერთიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრინციპების ზუსტად დაცვა. უშიშროების საბჭომ მხარი დაუჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეცადინეობას, რომლის მიზანია ბეირუთის რაიონში საერთაშორისო მეთვალყურეთა განლაგება. ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალნი აბრკოლებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა მუშაობას. გაერთიანებული ერების ორგა- [illegible]

[illegible]

ტაილანდის პროვოკაციები

პნომპენი. როგორც კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ერთი კვირის განმავლობაში — ამა წლის 3 სექტემბრიდან 9 სექტემბრამდე ტაილანდის სხვადასხვაგვარი შეიარაღებული გემები 237-ჯერ შეიჭრნენ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში. ტაილანდის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებიც განუწყვეტლივ ზვერავდნენ ჰაერიდან კამპუჩიის ტერიტორიას.

ამავე პერიოდში კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო პროვინციებს — პრეახვიხიეს, ბატამბანგის, სიემრეაპის, პოუსატისა და კოხკონგის პროვინციებს 53-ჯერ დაუშინა მასირებული ცეცხლი არტილერიამ ტაილანდის ტერიტორიიდან.

● ●

18 სექტემბერი

საერთაშორისო დღედამის ზურგზე ცხოვრება

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

ჰ. შმიდტის გადაწყვეტილება

ბონი. 17 სექტემბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგში მთავრობის განცხადებით გამოსვლისას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰელმუტ შმიდტმა გამოაცხადა, რომ ახლანდელ პირობებში შეუძლებელია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის სამთავრობო კოალიციის შენარჩუნება. მან თქვა, რომ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების თაობაზე წინააღმდეგობათა გამო გადადგა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წევრი ოთხივე მინისტრი.

ჰ. შმიდტმა პარლამენტარებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ წინადადებას ამა წლის ნოემბერ-დეკემბერში პარლამენტის ვადამდელი არჩევნების მოწყობის შესახებ და ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის პარტიების ოპოზიციურ ბლოკს მოუწოდა არ დააბრკოლონ ამ წინადადების განხორციელება. ბუნდესტაგის ახალი არჩევნები, მისი თქმით, — „საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა ახლანდელი შინაპოლიტიკური კრიზისიდან, და ისინი იმდენად მალე უნდა გაიმართოს, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლევა კონსტიტუცია. ამ საკითხის გადაწყვეტის გასაადვილებლად მან განაცხადა, რომ მზად არის ბუნდესტაგში აღძრას თავისი მთავრობისადმი ნდობის საკითხი. კონსტიტუციის თანახმად, უნდობლობის ვოტუმის გამოტანის შემთხვევაში პარლამენტი უნდა დაითხოვონ და ახალი არჩევნები დაინიშნოს.

ჰ. შმიდტმა გამოაცხადა, რომ კისრულობს საგარეო საქმეთა მინისტრის ფუნქციებს გადამდგარი ჰ.-დ. გენშერის მაგივრად, და კაბინეტის რამდენიმე წევრს დაავალა თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა და დანარჩენი სამი გადამდგარი მინისტრის მოვალეობის შესრულება.

მთავრობის კრიზისს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უშუალო ბიძგი მისცა მეურნეობის მინისტრის, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის ო. ლამბსდორფის მიერ რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებულმა ეგრეთ წოდებულმა „სამახსოვრო ბარათმა", რომელშიც მინისტრმა წამოაყენა ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრის თავისი „გეგმა". ეს გეგმა ითვალისწინებდა უმუშევრებისა და ახალგაზრდა დედებისათვის დახმარების, პენსიების, აგრეთვე მოსწავლეთა სტიპენდიების მნიშვნელოვან შემცირებას მეწარმეთა შემოსავალზე დაწესებული გადასახადების შემცირების ერთდროულად.

ბუნდესტაგში გამოსვლის დროს ოპოზიციის ლიდერმა ჰ. კოლმა განაცხადა, რომ ფედერალური კანცლერის ჰ. შმიდტის წინადადება პარლამენტის ვადამდელი არჩევნების მოწყობის თაობაზე მიუღებელია. ოპოზიციის ლიდერმა წამოაყენა საპასუხო მოთხოვნა, რომ საპარლამენტო გზით შეიქმნას ახალი კოალიცია ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირ-ქრისტიანულ-სოციალური კავშირისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის შემადგენლობით, რათა როგორც მან აღნიშნა, ჩამოყალიბდეს ახალი ქმედუნარიანი კაბინეტი.

ბუნდესტაგში თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ჰ. დ. გენშერის გამოსვლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ამ პოზიციას იწონებს თავისუფალ დემოკრატთა ხელმძღვანელობის ნაწილი, რომელიც, იმიზეზებს რა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას და მთელ რიგ სხვა პრობლემებს, უპირატესობას ანიჭებს მთავრობის კრიზისის დაძლევას ახალი არჩევნების გაუმართავად.

ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირ-ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთან დაახლოებული წრეებიდან მიღებული ცნობებით, ჰ. კოლმა და ამ ბლოკის სხვა ხელმძღვანელებმა უკვე დაამყარეს შესაბამისი კონტაქტი თავისუფალ დემოკრატებთან და უახლოეს ხანს უნდა განსაზღვრონ შემდგომი მოქმედების ტაქტიკა.

ვითარება ლიბანში

დამასკო. ლიბანის დედაქალაქის დამცველებთან ორი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ისრაელის არმიის დამკვრელმა ძალებმა შეძლეს ბეირუთის დასავლეთი ნაწილის საკვანძო პოზიციების დაკავება. გუშინდელი დღის განმავლობაში აგრესორის ჯარები გამაგრდნენ მთავარ გზაჯვარედინებზე, მათ ქალაქის ცენტრალური ქუჩები ჩაკეტეს და კომენდანტის საათი შემოიღეს.

თვითმხილველთა სიტყვით, ინტერვენტებმა ხელთ იგდეს პალესტინის საკვლევი ცენტრის შენობა და დაიწყეს ამ სამეცნიერო დაწესებულების არქივისა და დოკუმენტაციის ძარცვა.

მიწის პირიდან ალგვის საფრთხე შეექმნა ბეირუთის გარეუბნებში მდებარე პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკებს საბრას, შატილასა და ბურჯ ალ-ბარაჯნეს. არტილერიის გრიგალისებური ცეცხლის შემდეგ ბანაკში შეჭრილი ისრაელები თავს უყრიან აქ მძლავრ ბულდოზერებს.

ლიბანის პრესა ხაზს უსვამს, რომ დასავლეთ ბეირუთის ოკუპაციის შედეგად პარალიზებული აღმოჩნდა დედაქალაქის ეკონომიკური ცხოვრება და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა. ისრაელი, წერს გაზეთი „ას-საფირი", ცდილობს სრული მეურვეობა დაუწესოს ლიბანს, დააქუცმაცოს იგი და თავს მოახვიოს სეპარატული „საზავო ხელშეკრულება".

ლიბანის პრეზიდენტის ი. სარქისის, პრემიერ-მინისტრ შ. ვაზანისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ფ. ბუტროსის კონტაქ- [illegible]

[illegible]

კავკასიისათვის ბრძოლის 40 წლისთავის შესახვედრად

მთები

ჯარისკაცებს

ეძებენ

კავკასიონის მთებში ორმოცი წლის შემდეგ კვლავ გაისმა ჰიტლერელთა „ედელვაისის" დივიზიასთან სისხლისმღვრელი ბრძოლების მონაწილეთა სახელები. აფხაზეთის სოფელ ფსხუში საბრძოლო შემოწმებაზე დადგნენ თბილისის ქვეითთა პირველი სასწავლებლის ყოფილი კურსანტები [illegible]

...სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში! თავიანთი მებრძოლი ამხანაგების ბევრი გვარის შემდეგ წარმოთქვამდნენ ამ სიტყვებს ა. ტრაპეზნიკო, ს. კაჩიევი, ვ. შუკაკიძე, მ. ადლეიბა, ა. ჰეიშვილი.

...1942 წლის შემოდგომაზე ფაშისტები ცდილობდნენ გადაე- [illegible]

სთან — სხვა ნაწილებთან ერთად თბილისიდან ჩავიდა კურსანტთა ორი ბატალიონი.

— გამოუცდელი 18-20 წლის ბიჭები არ შედრკნენ. თუმცა მთაში ბრძოლებისათვის რთული პირობები იყო. კოკისპირულად წვიმდა, მაგრამ მათ უფროს ამხანაგებთან ერთად მაინც შეაჩერეს [illegible]

[illegible]

მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლო პერიოდში საქართველოს ყოფნა-არყოფნის საფრთხე შეექმნა. უბადლო მწიგნობარი და „ქართლის ჭირთა" უპირველესი მოჭირისუფლე მეფე ვახტანგ VI (1675-1737) ერთიანი და მძლავრი სახელმწიფო ხელისუფლების შექმნით ისწრაფოდა გადაერჩინა ტრაგიკულ გზაჯვარედინზე მდგარი სამშობლო. ამ მიზნით იგი აჩაღებს ასევე მძლავრ კულტურულ მოღვაწეობას მრავალ დარგში და ჭეშმარიტად „ენციკლოპედიური ხანის" მოთავე ხდება. ქართული სტამბის დაარსება, „ვეფხისტყაოსნის" პირველი ნაბეჭდის გამოცემა, „ქართლის ცხოვრების" შევსება და მთელი საკანონმდებლო კორპუსის შემუშავება ამ მოღვაწეობის წარუხოცელი გამოვლინებაა. მისი მოუღლელი და მრავალმხრივი მოღვაწეობა კანონშემოქმედების დარგში დაფასდა იმით, რომ მას — ერთადერთს საქართველოს ისტორიაში მეფე-სჯულმდებელი ეწოდა.

ვახტანგ VI საკოდიფიკაციო მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მისი მეთაურობით შექმნილ სამართლის წიგნს, რომელიც დაეფუძნა ქართულ ჩვეულებითს სამართალს და ამდენად ქართული სამართლის განვითარების გარკვეულ შემაჯამებელ ეტაპს წარმოადგენს.

ქმნა მართლისა სამართლისა

ვახტანგის სამართლის წიგნს სამართლის ინსტიტუტების სიმრავლით ქართული სამართლის ვერც ერთი ძეგლი ვერ შეედრება. იგი მთელ საქართველოში მოქმედებდა და თავისი ძალა არ დაუკარგავს რუსეთთან შეერთებისა და საქართველოში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგაც. ამ წიგნის სამოქალაქო ნორმები მოქმედებდა 1859 წლამდე (უფრო მეტიც, შემდგომ 1917 წლამდე რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის 15 მუხლის შენიშვნისა და დანართის სახით ასახვა პოვა ვახტანგ VI სამართლის წიგნის სამოქალაქო სამართლებრივმა ნორმებმა). სავსებით ბუნებრივია, რომ ადრევე დადგა ვახტანგის სამართლის წიგნის რუსულად თარგმნის საკითხი, ვინაიდან მისი ნორმების ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სამართალი იყო. 1836 წელს ვახტანგის სამართლის წიგნის რუსული თარგმანი სტამბურად დაიბეჭდა კიდეც. იგი ითარგმნა ფრანგულადაც.

საყოველთაოდ ცნობილია კანონების თარგმანების სიძნელე. განსხვავებულ სოციალურ-ისტორიულ ვითარებაში შემუშავებული სამართლებრივი ცნებები და კატეგორიები სიტყვა-სიტყვითი თარგმანებით ყოველთვის ვერ გადადის მეორე ენაზე. ამიტომაც კანონების თარგმნის მრავალი ცდა მარცხით დამთავრებულა. ვახტანგის სამართლის ადრინდელი თარგმანებიც ანალოგიური ნაკლით ხასიათდება.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დ. ბაქრაძის რედაქციით გამოცემული ვახტანგის სამართლის წიგნი (1887 წ.) იმით არის საყურადღებო, რომ მას დართული აქვს რედაქტორის ფრიად მნიშვნელოვანი კომენტარები. მაგრამ ისტორია-ფილოლოგიის მეცნიერებისა და სამართალმცოდნეობის მაშინდელი დონე ჯერ კიდევ არ იძლეოდა ამ კანონების თვით ქართული ტექსტის კრიტიკული გამოცემის საშუალებას.

ქართული საბჭოთა ისტორიისა და სამართლის მეცნიერებათა განვითარების ახლანდელმა დონემ, განსაკუთრებით ვახტანგის საკანონმდებლო კორპუსის შესწავლისათვის განხორციელებულმა საკვლევაძიებო მუშაობამ ბევრი ბუნდოვანი საკითხი გაარკვია. სამართლისმცოდნეები გულდასმით იკვლევენ მდიდარ ეროვნულ საკანონმდებლო ძეგლებს. ამ გამორჩეულ მკვლევართა შორის არის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. ფურცელაძე. იგი ათეული წლებია დიდი, მეთოდიკურ, თანამიმდევრულ მუშაობას ეწევა ვახტანგ VI-ის სამართლის ტექსტებზე. ვახტანგის სამართლის 18 ხელნაწერზე მრავალწლიანი მუშაობა დაგვირგვინდა არა მარტო ბევრი გაურკვეველი ადგილის სწორად ახსნით, არამედ მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული რუსული თარგმანით. ისტორიოგრაფიის დიდი მიღწევა იმით იქნა მოპოვებული, რომ დ. ფურცელაძის პიროვნებაში შეერთდა შესანიშნავი მცოდნე ქართული და რუსული ენებისა, ისტორიკოსი და იურისტი, დიდი მკვლევარი და ტექსტოლოგი. ახლა რუსულ ენაზე ჩვენ გვაქვს თანამედროვე წყაროთმცოდნეობის ყველა მონაპოვრის გათვალისწინებით შესრულებული ვახტანგ VI სამართლის შესანიშნავი წიგნის მეცნიერული თარგმანი. ფართო სამეცნიერო აპარატურით აღჭურვილი თარგმანი შესაძლებლობას აძლევს რუს მკითხველს გაეცნოს ჩვენი ხალხის უძვირეს ისტორიულ და სოციალურ პირობებში გამოვლენილ კანონშემოქმედებითს მოღვაწეობას.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის თარგმანს, მის წინასიტყვაობას, შენიშვნებს, გლოსარებს და საძიებელს ერთი ავტორი ჰყავს. ეს გახლავთ პროფესორი დ. ფურცელაძე, რომელიც ამასთან ეყრდნობა მთელი ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების აწლანდელ მიღწევებს და სრულად წარმოაჩენს ყველა იმათ ღვაწლს, ვინც ხელი შეუწყო ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებას. დ. ფურცელაძე დიდ მადლობას უძღვნის ქართული ფილოლოგიის პატრიარქს აკადემიკოს აკ. შანიძეს, რომლის ენციკლოპედიური განათლება ამ ძეგლის რუსულად გამოცემის ხელშემწყობი გახდა. იგი მადლიერია აკადემიკოს ი. დოლიძისა, პროფესორების გ. ჟორდანიასი, გ. ნადარეიშვილისა, მ. კეკელიასი, დოცენტების თ. ენუქიძის და ი. ფუტკარაძისა, რომლებიც ხელს უწყობდნენ ამ წამოწყების წარმატებით დასრულებას.

კანონების თარგმანს წამძღვარებული შესავალი ღრმა მეცნიერული გამოკვლევაა ქართული სამართლის ისტორიიდან. სამართლის წიგნის ბევრ მუხლს ბრწყინვალე კომენტარები ახლავს, რომლებიდანაც ნათლად გამოსჭვივის ავტორის ცოდნა არა მარტო ძველი ქართული სამართლისა, არამედ რუსული, რომაული, შუასაუკუნეების ფეოდალური სამართლისა საზოგადოდ.

წიგნის საძიებელთა საშუალებით მკითხველი ადვილად პოულობს მისთვის საჭირო ფაქტს, გლოსარები სხვადასხვა ისტორიულ-სამართლებრივი ტერმინის და კატეგორიის ახსნა-განმარტებას იძლევა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რათა თანამედროვე მკითხველმა სწორად აღიქვას იმ დიდი შემოქმედებითი მუშაობის ხასიათი, რომელიც ვახტანგ VI-ის მეთაურობით ქართველ „სწავლულ კაცთა" კომისიამ გასწია; სხვა დანართები საშუალებას იძლევა სრულად წარმოვიდგინოთ ვახტანგ VI-ის საკოდიფიკაციო მოღვაწეობის რთული შინაგანი ეტაპები.

ი. სურგულაძე,
ს. ჯორბენაძე,
პროფესორები.

ბუნების დიდი საუნჯე

ჩვენი ქვეყნის სატყეო მეურნეობის დარგის სამ მილიონზე მეტი მშრომელი, მათთან ერთად საქართველოს მეტყევეები მეჩვიდმეტეჯერ აღნიშნავენ თავიანთ დღესასწაულს — ტყის მუშაკის დღეს. თავისთავად ტყის მუშაკის დღის შემოღება ნათელი დასტურია იმისა, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სატყეო მეურნეობის დარგის მუშაკების დაძაბული და საპატიო შრომისადმი.

მეთერთმეტე ხუთწლედში პარტიისა და მთავრობის მიერ სატყეო მეურნეობის დარგის წინაშე დასახული ამოცანების შესაბამისად, საქართველოს მეტყევეთა მთავარი საზრუნავია ტყის რესურსების აღდგენა, სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების ეფექტიანი გამოყენება, დაცვა, მერქნის რაციონალური გამოყენება, სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლება, მთის ტყეებში მეურნეობის გაძღოლის სწორი ორგანიზაცია და სხვა.

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დარგის მუშაკებმა ბეჯითი და ენერგიული შრომის შედეგად მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვეს და კარგი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდებიან თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს.

ამ პერიოდისათვის ტყის აღდგენითი სამუშაოები განხორციელდა 38,0 ათას ჰექტარზე (გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით), მათ შორის ტყის თესვა-დარგვა — 9,9 ათას ჰექტარზე. მკვეთრად გაუმჯობესდა გასაშენებელ ჯიშთა სტრუქტურა, გაშენების აგროტექნიკა, მოვლა-პატრონობა, გახარების მდგომარეობა. მაგალითად, თუ 1975 წელს რესპუბლიკის სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე გაშენებული ტყის კულტურების გახარება შეადგენდა 76 პროცენტს, 1981 წელს ამ მაჩვენებელმა 77,5 პროცენტს მიაღწია, ეს კი საშუალო საკავშიროს დიდად აღემატება.

ჩვენთან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ძვირფასი აბორიგენული ჯიშების გაშენებას, როგორიცაა კავკასიური სოჭი, ჩვეულებრივი წაბლი, კავკასიური წიფელი, მუხა და სხვა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება კაკალნაყოფიანთა ნარგავების გაფართოებისა და გასაშენებელი ჯიშების გაუმჯობესების თვალსაზრისით. კაკლისა და თხილის კულტურამ ხუთწლედის დამლევისათვის 600 ჰექტარი უნდა დაიკავოს.

ბევრი რამ კეთდება გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის. სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის ტყეები, შერჩეულია მშრომელთა დასასვენებელი ადგილები. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მოეწყო 3115 მცირე არქიტექტურული ფორმები, გაკეთდა 68 კეთილმოწყობილი წყარო; მოეწყო 9 ბავშვთა სათამაშო მოედანი და 23 ავტომანქანების სადგომი მოედანი, გაშენდა 126 კმ საავტომობილო გზა და სხვა.

დიდი სამუშაოები მიმდინარეობს თბილისის შემოგარენის გამწვანებისა და კეთილმოწყობისათვის, კრწანისის კლდოვანი ფერდობების გატყევებისათვის, თბილისის ზღვაზე გაშენდა მეგობრობის ბაღი, კეთილმოწყობილი ხდება თბილისის ეროვნული პარკი და კრწანისის ტყეპარკი.

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ტყეების დაცვა უკანონო ჭრისაგან, ხანძრებისაგან, მავნებლებისა და დაავადებებისაგან. ამ მხრივაც ბევრი რამ კეთდება. ტყის ხანძრების დროულად გამოვლენისა და ოპერატიულად ლიკვიდაციისათვის შემოღებულია ავიოპატრულირება, შექმნილია 10 სახანძრო ქიმიური სადგური, რომელიც აღჭურვილია სათანადო ტექნიკური საშუალებებით. ამან თავისი ნაყოფი გამოიღო — წელს ტყის ხანძრის არც ერთი შემთხვევა არ გვქონია.

ტყის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად კვლავ რჩება მასობრივ და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლება და ხელით შრომის ხვედრითი წილის შემცირება. ამ მიმართულებით უთუოდ საყურადღებო ნაბიჯია გადადგმული.

საერთო საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს უკვე ტრადიციად დამკვიდრებული ტყეების რესპუბლიკური დათვალიერება-შემოწმება. მისი ძირითადი მიზანია როგორც მეტყევეთა შრომის შედეგების შეფასება, ისე მეურნეობის საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების გამოვლინება და მისი დროულად აღმოფხვრისათვის კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება.

სატყეო მეურნეობის ძირითად საქმიანობასთან ერთად, სასურსათო პროგრამით დასახული ამოცანების განხორციელების მიზნით ფართოდ ვითარდება დამხმარე სოფლის მეურნეობა.

ამ პრობლემის გადაწყვეტაში მთავარი როლი აკისრიათ სატყეო მეურნეობის მუშაკებს. მათ გამიზნულ, ორგანიზებულ შრომაზე დიდად არის დამოკიდებული დარგის მასშტაბით შემუშავებული პროგრამის ხორცშესხმა.

1981 წელს წარმოებული და რეალიზებულია 1740 ათასი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, მათ შორის ნატურალური გამოსახულებით ხორცი შეადგენს 909,3 ტონას, თაფლი — 16, ხილი — 70, ყურძენი — 62, ბალჩეული — 160 ტონას. დამზადებულია 60 ტონა ასკილი და სხვა.

დარგის მასშტაბით შემუშავებული სასურსათო პროგრამის შესაბამისად მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა ვაწარმოოთ 5000 ტონა ხორცი, 90 ტონა სასაქონლო თაფლი, 400 ტონამდე სოკო, თევზის წარმოება გადიდდება 340 ტონამდე, წელიწადში საშუალოდ დამზადებული იქნება 150 ტონა ასკილი, 100 ტონა ველური ხილი და სხვა.

ტყის საკვები პროდუქტების სარეზერვო ფონდის გადიდების მიზნით სახელმწიფო ტყის მიწებზე გაშენდება კენკროვანი და სამკურნალწამლო მცენარეების კულტურული პლანტაციები 200 ჰექტარზე, ნაყოფმომცემი ჯიშები (კაკალი, თხილი, წაბლი, ტყემალი, პანტა, ნუში, ქერამი) 3380 ჰექტარზე. ამასთან დაიმყნება 100,0 ათასი ძირი გარეული ხილი.

სასურსათო პროგრამის განხორციელება საყოველთაო სახალხო საქმეა და ამიტომაც სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემის თითოეული რგოლი მობილიზებულია, რომ ამ დიდ მოძრაობაში საკუთარი, კონკრეტული წვლილი შეიტანოს. ამ მხრივ კარგი წარმატებები აქვს სამინისტროს სპეცსამშენებლო სამმართველოს (უფროსი — ლ. მაქაცარია), რომელმაც უმოკლეს ვადაში ააშენა მეღორეობის ფერმა 300-350 სულისათვის.

ქედის სატყეო მეურნეობამ (დირექტორი ს. ჟღენტი) მეორე წელია მოაწყო საჩვენებელი ფერმა, სადაც 40 სულ შემოყვანილ ჯიშიან პროდუქტიულ პირუტყვს უვლიან. მეღორეობის ფერმა და მეურნეობა კი აწარმოებს 20 ტონა ღორის ხორცს, შექმნილია საკვების მტკიცე ბაზა, პირუტყვის საკვებად დიდი რაოდენობით ამზადებს ვიტამინიან ფქვილს და მეცხოველეობის სხვა საკვებ პროდუქტებს.

ხორცის წარმოების გადიდებისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის საკუთარი საკვები ბაზის შექმნის საქმეში კარგი მიღწევები აქვთ აგრეთვე კოლხეთის, ლაგოდეხის, თეთრიწყაროს, კასპის და სხვა სატყეო მეურნეობებს.

დარგის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის ფართოდ გამოიყენება შრომითი წარმატებების ნაცადი ბერკეტი — სოციალისტური შეჯიბრება. სისტემატურად ფართოვდება სოცშეჯიბრის მონაწილე კოლექტივების რიცხვი და მათი მატერიალური და მორალური წახალისების სფერო და ფორმები.

მაღალორგანიზებული შრომისა და კარგად მოწყობილი სოციალისტური შეჯიბრების კვალობაზე სატყეო მეურნეობის შრომითმა კოლექტივებმა წარმატებით გაართვეს თავი მიმდინარე წლის ექვსი თვის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებას, რის შედეგადაც რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში სატყეო მეურნეობის სამინისტრო გამარჯვებული გამოვიდა. ამ მიღწევების მოპოვებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი მთელმა რიგმა წარმოებებმა, რომლებმაც დარგის შიგნით გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვეს და გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურეს. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: აჭარის ასსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, წალენჯიხის ტყემრეწვმეურნეობის, თბილისის, ქედის და კოლხეთის სატყეო მეურნეობის კოლექტივები. მეორე და მესამე ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ: ჩოხატაურის, ადიგენის, წყალტუბოს, საჩხერის, გაგრის, მახარაძის და ხაშურის სატყეო მეურნეობის კოლექტივები. დარგის საპატიო სიგელი დაიმსახურეს: მცხეთის, თელავის, წალენჯიხის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, კასპის სატყეო მეურნეობის და კრწანისის ტყეპარკის კოლექტივებმა.

1981 წლის გეგმებისა და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის 19 ბრიგადას მიენიჭა „საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის საუკეთესო ბრიგადის" წოდება, 27 მუშაკს წოდება — „საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის საუკეთესო მუშა [illegible] მიხედვით", ტყის [illegible] „საქართველოს [illegible] მეურნეობის [illegible] მცველის" წოდება; 6 მეტყევეს მიენიჭა — „საუკეთესო სატყეოს უფროსის წოდება", ტყის მეურნეობის 5 მუშაკი დაჯილდოვებულია მიხეილ მურმანიშვილის საპატიო პრიზით და სხვ.

მეთერთმეტე ხუთწლედში საქართველოს მეტყევეთა წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. ტყის აღდგენითი სამუშაოები მოეწყობა 152 ათას ჰექტარზე, კაკლნარი გაშენდება 300 ჰექტარზე, სახელმწიფო ტყის ფონდში გადაირიცხება 6,9 ათასი ჰექტარი ტყის კულტურა, მოვლითი და სანიტარიული ჭრით მიღებული იქნება 2,2 მილიონი კუბური მეტრი ლკვიდური მერქანი, 1500 კილომეტრზე გავიყვანთ სატყეო-სამეურნეო დანიშნულების გზას, სამრეწველო საქმიანობით წარმოებული და რეალიზებული იქნება 115 მილიონი მანეთის პროდუქცია, მოეწყობა 34 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდების სამუშაოები და სხვა.

სატყეო მეურნეობის სისტემის მრავალრიცხოვანი კოლექტივი კვლავაც ენერგიულად იშრომებს დარგის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ ახალი შრომითი ნობათები უძღვნან სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს და მოამზადონ მყარი მატერიალური საფუძველი მეთერთმეტე ხუთწლედის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების ვადამდე განაღდებისათვის.

შ. ჭალაგანიძე,
საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი.

დღესასწაული აღნიშნეს

რესპუბლიკის მეტყევეები თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდნენ. რვა თვის გეგმები შესრულებულია ყველა მაჩვენებლის მიხედვით. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 595 ათასი მანეთის პროდუქცია, განაღდებულია 162 ათასი მანეთის პროდუქცია.

ეს ითქვა ტყის მუშაკის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, რომელიც 17 სექტემბერს გაიმართა თბილისში.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრმა შ. ჭალაგანიძემ. საზეიმო სხდომის მონაწილეებს მიესალმნენ თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის" მეჩარხეთა ბრიგადირი ა. უხანსკი, კრწანისის ტყე-პარკის უბნის უფროსი ვ. რეხვიაშვილი, პოეტი ჯ. ჩარკვიანი.

წაკითხულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მოწინავე მუშაკებისათვის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვარძელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ლ. ზაქაიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგე ბ. მახარაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია. (საქინფორმი).

მზრუნველი გულით, სიყვარულით

ოცი წელია ჯალაბეთის (ჯავის რაიონი) სატყეოს წაბლისა და თელის, ნეკერჩხლისა და ფიჭვის, იფნისა და წიფლის ტყეებს სიყვარულით უვლის მეტყევე ინჟინერი ბეგლარ ღვალაძე. მისი მზრუნველი ხელი ატყვია აქაურობას. სატყეოს მცველები ჯალაბეთსა და წოისში, ტბეთსა და კუსიანებში მესაზღვრეთა სიფრთხილით დგანან ტყის სადარაჯოზე.

ჯალაბეთის სატყეოს 16.400 ჰექტარი უჭირავს. მისი მოვლა იოლი არ არის. ბეგლარი საოცრად კეთილი კაცია, მაგრამ მკაცრია, როცა საქმე მოითხოვს, იგი და მისი ბიჭები — ზურაბ დარბაიძე, ნიკოლოზ და თემურ ბახტურიძეები, ზურაბ კუსიანი მეხივით ატყდებიან თავს ბრაკონიერებს.

— დღედაღამ ვდარაჯობთ და ზოგჯერ მაინც შეგვეპარებიან ტყეში, — თქვა ბეგლარმა და გვიჩვენა აქტი, რომელიც შეუდგენია ვახნისის ტყის მცველს ზურაბ კუსიანს: ვახნისის ტყის აგარაკში უცნობმა პიროვნებამ უნებართვოდ მოჭრა წაბლის ხეები და 3,6 კუბური მეტრი სამასალე მერქანი დაამზადა. აღნიშნული მასალა მოჭრის ადგილიდან ვერ წაიღეს, მაგრამ ტყეს ხომ მიაყენეს ზიანი?

გარემოებამ გვეკარნახა დაცვა გაგვეძლიერებინა. მიუხედავად ამისა, მაინც გვქონდა ორი შემთხვევა. თუმცა ორივე ბრაკონიერი გამოვავლინეთ და მათი საქმე საგამოძიებო ორგანოებს გადავეცით. მცველთა გულმოდგინე მუშაობის წყალობით წელს უნებართვოდ ხის მოჭრის შემთხვევა არა გვქონია. შემოდგომის იმ დღეს ბეგლარ ღვალაძეს სატყეოს ეზოში შევხვდით. გატაცებით ელაპარაკებოდა ტყის მცველ თემურ ბახტურიძეს, თან წასასვლელად ემზადებოდა.

— საით, ბატონო ბეგლარ? — შევეკითხეთ.

— მე და თემური წოისის ტყეში მივდივართ. უნდა ვნახოთ, როგორ მიმდინარეობს სამასალე ხე-ტყის დამზადება. თან, როცა ტყის მესვეურთ გვხედავს, ბრაკონიერიც ხელშეკრულია. მოგეხსენებათ, შემოდგომაა, მთაში უკვე ცივა. ვისაც შეშა შემოელევა, ტყისაკენ უჭირავს თვალი. ზოგიერთი ზარმაცი და შეუგნებელი ისეთ ჯანსაღ და ახალგაზრდა ხეს წამოაქცევს ხოლმე, რომ ნახოთ, გული გეტკინებათ, აბა, როგორ არ დავსაჯოთ ასეთი ავი საქმის ჩამდენი?

— წოისში წამობრძანდით, — გვეპატიჟება ბეგლარი, — 300-წლოვან წიფელას გიჩვენებთ. მოხუც მამასავით ხშირად რომ არ მოვინახულო, გული არ მითმენს. მაინტერესებს, ხომ არაფერი დაუშავა წლევანდელმა უამინდობამ...

ბეგლარ ღვალაძეს უყვარს თავისი პროფესია. უყვარს ტყე და მისი ქომაგებიც.

— ოცი წლის მანძილზე რაც მე აქ ვმუშაობ, სამას ჰექტარზე მეტი ტყე გავაშენეთ.

— წელს 1200 კუბურ მეტრ სამასალე მერქანს მივაწვდით დამკვეთებს, — ამბობს ბეგლარი. სამასალე მერქანს ძირითადად წოისის ტყეში ამზადებენ. აქ ტყეს 9.700 ჰექტარი უკავია. მის მცველებს, ნიკოლოზ და თემურ ბახტურიძეებს აქებს სატყეოს უფროსი.

გაივლი ტყეში, სუფთა ჰაერს ჩაისუნთქავ, დაეწაფები კლდიდან ნაჟურ, ცივ წყალს და იტყვი: დაილოცოს შენი გამჩენიო. იმ ანკარა წყაროს გამჩენი ხომ ტყეა. სხვა სიკეთეც ახლავს ტყეს. ვინ მოთვლის რამდენი ჯონჯოლი, პანტა, მაყალო, ასკილი, მოცვი, შინდი, მაყვალი იკრიფება ყოველ წელს...

ამბობენ, ტყე განსაკუთრებით ზაფხულშია კარგიო. ჩვენის აზრით, იგი ყოველთვის დიდებულია — შემოდგომაზეც, ზამთარშიც და გაზაფხულზეც. ნამდვილი მეჯლისი კი გაზაფხულზეა, როცა დასკდება კვირტები და ხასხასა ფოთლებით შეიმოსება ხეები.

გ. თედეევი,
„კომუნისტის" საკ. კორ.



საქართველოს მთა-ბარს ამშვენებს და ალამაზებს ტყით დაბურული მასივები, ასწლოვანი მუხნარისა და ნაძვნარის კორომები, ისეთი ნაკრძალები, სადაც უნიკალური ჯიშები ხარობს. ზემო სურათი ბორჯომის ხეობაში, კურორტ წაღვერთან არის გადაღებული, ქვემოთ კი 800 წლის „აკაკის ხეა", რომელიც ყვარლის რაიონის სოფელ საბუეში დგას.

ზ. დათუაშვილის ფოტო.



ქართული ფილოსოფიური აზრის მკვლევარი



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს შალვა ხიდაშელს დაბადების 70 და სამეცნიერო მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა.

შალვა ხიდაშელი 1927-32 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. შემდეგ ლენინგრადის ფილოსოფიის, ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურა დაამთავრა ფილოსოფიის სპეციალობით. 1941-45 წლებში იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1946 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად, სწავლულ მდივნად, ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების გამგედ, ხოლო 1967 წლიდან — ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებას ხელმძღვანელობს.

შ. ხიდაშელის კვლევის ძირითადი სფეროა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია და მასთან დაკავშირებული საკითხები. იგი 1936 წელს ივ. ჯავახიშვილის წინადადებით შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესწავლას იწყებს. დიდი ამაგი დადო მან შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილეს მომზადებას.

ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის საკითხების შესწავლა შ. ხიდაშელის შრომებში ცალკეულ შემთხვევებში წარმოადგენს იმ დიდი მუშაობის შემდგომ გაგრძელებასა და გაღრმავებას, რომელსაც აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე ეწეოდა. მაგრამ, განაგრძობდა რა მის წამოწყებულ საქმეს, შ. ხიდაშელმა კვლევის თავისებური, ორიგინალური გზა აირჩია. ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია და მასთან დაკავშირებული საკითხები მას განხილული აქვს მსოფლმხედველობრივ მიმართულებებთან ისტორიული და ლოგიკური კავშირით, იმ მსოფლმხედველობრივ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც მიმდინარეობდა, კერძოდ, რუსთაველის ეპოქის საქართველოში. შ. ხიდაშელის სადოქტორო დისერტაციის წინასწარ რეცენზიაში ამას აღნიშნავდა აკადემიკოსი შ. ნუცუბიძე, რომელიც თვლიდა, რომ ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია თანდათანობით მონოგრაფიული შესწავლის საგანი გახდა. „ამ თვალსაზრისით შ. ხიდაშელის ნაშრომი პირველი სერიოზული ცდაა ქართული ფილოსოფიის ისტორიის მონოგრაფიული კვლევისა". იქვე აღნიშნულია, რომ მას „თავისი პრობლემები და საკვლევი მიდგომა აქვს, რომლის დასაბუთებას ფაქტების თავისი გაშუქებით აწარმოებს". რომ ეს ნაშრომი „...სრულიად დამოუკიდებელ და ორიგინალურ კვლევას წარმოადგენს".

თავისი მუშაობის პირველ პერიოდში შ. ხიდაშელი არკვევს ქართული აზროვნების ძირითად მიმართულებათა მსოფლმხედველობრივ საფუძველს ამქვეყნიური (მიწიერი) სინამდვილისადმი მათი დამოკიდებულების თვალსაზრისით. ამ ორი ძირითადი მიმართულების თავისებურებანი განხილულია აქსიოლოგიური თვალსაზრისით და დადგენილია ქართული მხატვრული და საისტორიო მწერლობის, არქიტექტურის, ჭედური ხელოვნების, ფერწერისა და სამედიცინო ძეგლების იდეური შინაარსის საფუძველზე. ამასთანავე, ყოველივე ეს გაკეთებულია დასავლეთის აზროვნების ისტორიასთან პარალელებით. აღნიშნული საკითხები განხილულია შემდეგ ნაშრომებში: „საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმართულებანი ფეოდალურ საქართველოში" და „ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან". ორივე ნაშრომს დადებითად გამოეხმაურნენ როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

შუა საუკუნეთა ქართული ფილოსოფია, შ. ხიდაშელის თვალსაზრისით, ქვეყნის კულტურული და იდეოლოგიური ცხოვრების შიგნით მომხდარი იდეური ცვლილებების თეორიულ დასაბუთებას წარმოადგენს. რამდენადაც ამ ცვლილებათა განმსაზღვრელი იდეა ამქვეყნიური სინამდვილის და მასში მოქმედი ადამიანის ღირებულების აღიარებაა, ამდენად იმ დროის ქართული ფილოსოფიური მიმდინარეობის ძირითად ამოცანას მიწიერი სინამდვილის ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური, ეთიკური და ესთეტიკური ღირებულების და, ამის შესატყვისად, ადამიანურის ახალი გაგების დასაბუთება შეადგენს.

აღნიშნულ დებულებათა გაღრმავებისა და კონკრეტიზაციისადმია მიძღვნილი შ. ხიდაშელის რამდენიმე ნაშრომი — „ჰუმანიზმის ზოგიერთი საკითხი ქართულ მწერლობასა და „ვეფხისტყაოსანში" „იოანე პეტრიწი", „პეტრიწის ადგილი ქართულ მსოფლმხედველობრივ მიმართულებათა განვითარებაში" და, განსაკუთრებით, მისი გამოკვლევა „ძირითადი მსოფლმხედველობრივი მიმართულებანი ფეოდალურ საქართველოში". ამ გამოკვლევაში, რომლითაც დაიცვა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ზემოთ აღნიშნული საკითხების გარდა, განხილულია ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა ქართულ ფილოსოფიაში; ძირითადი მსოფლმხედველობრივი მიმართულებები საქართველოში კულტურის ქრისტიანიზაციიდან საერო კულტურის წარმოქმნამდე, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება XI-XII საუკუნეებში.

ამავე ნაშრომში გარკვეულია ფილოსოფიის ძირითადი საკითხის თავისებურებანი შუა საუკუნეების პირობებში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია შ. ხიდაშელის ნაშრომები, რომლებიც ეხება ფილოსოფიის ისტორიისა და შუა საუკუნეთა ფილოსოფიის ისტორიის ზოგად, მეთოდოლოგიურ საკითხებს. ეს ნაშრომები მოსკოვში გამოქვეყნდა და ყურადღება მიიპყრო.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შ. ხიდაშელის ბოლო ნაშრომი „რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები". ეს გამოკვლევა ავტორის მრავალწლიანი მუშაობის შეჯამებაა; აღნიშნული წიგნის ღირსებათაგან უნდა გამოიყოს რუსთაველის მსოფლმხედველობის განხილვა აქსიოლოგიის პოზიციიდან. ავტორს ეს თვალსაზრისი ჯერ კიდევ 50-იან წლებში ჰქონდა გატარებული თავის გამოკვლევებში, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ზუსტდებოდა, იხვეწებოდა და ბოლოს ასეთი სახე მიიღო: „ჰუმანიზმის ძირითადი მსოფლმხედველობრივი იდეა მიწიერი სინამდვილის ღირებულების აღიარებაა, სამივე — ონტოლოგიური, ეთიკური და ესთეტიკური მნიშვნელობით". ჰეგელის სიტყვები, რომელთა თანახმადაც შუა საუკუნეების პირობებში მთელი პროგრესი „ამ ჩვენი ქვეყნის რწმენის აღდგენისაკენ" იყო მიმართული, ავტორის აზრით, გულისხმობს ხილული სამყაროს ღირებულების აღიარებას. ეს საკითხები დაწვრილებითაა განხილული აგრეთვე სტატიაში „ჰუმანიზმის ძირითადი თავისებურებანი და რუსთაველის შემოქმედება".

მხარს უჭერს რა ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიას პეტრე იბერისა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის იდენტობის შესახებ, შ. ხიდაშელმა აღნიშნულ საკითხს მიუძღვნა სპეციალური სტატიები. ამასთან დაკავშირებით იგი ორჯერ იყო სამეცნიერო მივლინებაში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. იენის უნივერსიტეტში ნეოპლატონიზმსა და ქართულ ნეოპლატონიზმზე წაიკითხა მოხსენებები.

შ. ხიდაშელი მონაწილეა ფილოსოფოსთა მსოფლიო კონგრესისა (ქ. რომი, 1970 წ.), რომლის დევიზი იყო „პლატონი და ნეოპლატონიზმი აღმოსავლეთსა და დასავლეთში". მისი მოხსენება თემაზე „ნეოპლატონიზმი შუა საუკუნეების საქართველოში" გამოქვეყნდა კონგრესის მასალებში.

დიდი წვლილი დასდო შ. ხიდაშელმა ნეოპლატონიკოს-ფილოსოფოსის პროკლე დიადოხოსის ერთ-ერთი ძირითადი ფილოსოფიური თხზულების — თეოლოგიის პირველსაფუძვლებნი „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი" — იოანე პეტრიწის მიხედვით გამოცემას რუსულ ენაზე. აღნიშნულმა გამოცემამ დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც საბჭოთა ისე საზღვარგარეთის მეცნიერებაში.

შ. ხიდაშელი მრავალი საკავშირო გამოცემის ავტორთა კოლექტივის წევრია, იგი თანაავტორი და სტატიების ავტორია საბჭოთა ენციკლოპედიებისა. იგი ხელმძღვანელობს პერიოდულ გამოცემას „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები", მისი რედაქტორობით გამოვიდა შ. ნუცუბიძის ბევრი ფუნდამენტური ნაშრომი; არის აგრეთვე შ. ნუცუბიძის სამეცნიერო მემკვიდრეობის შემსწავლელი კომისიისა და მისი „შრომების" რვატომეულის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე.

წლების განმავლობაში შ. ხიდაშელი კითხულობდა ანტიკური ფილოსოფიის ისტორიის კურსს უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. უკვე ათეული წელია, რაც მას ფილოსოფიის ფაკულტეტზე მიჰყავს სპეციალური კურსი ქართული ფილოსოფიის ისტორიაში. მისი ხელმძღვანელობით ბევრი ახალგაზრდა ჩადგა ქართული ფილოსოფიური აზრის მაღალკვალიფიციურ მკვლევართა რიგებში.

შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში მყოფი მეცნიერისაგან ჩვენი საზოგადოება ახალ საგულისხმო გამოკვლევებს მოელის.

ნ. ჭავჭავაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ვ. გოგოძერიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკის განყოფილების გამგე, დოცენტი.

მ. მახარაძე,
ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!

„ალაშარამ" გამოსცა გ. ტაბიძის პოეტური კრებული „ზღვა ახმაურდა"

გალაკტიონის პოეზიას აფხაზი მკითხველი დიდი ხნის წინათ ეზიარა მშობლიურ ენაზე, მაგრამ სულ სხვაა სრულფასოვანი თარგმანი, ერთ კრებულში თავმოყრილი შედევრები. და აი, ამას წინათ, გამომცემლობა „ალაშარამ" მკითხველს მიაწოდა ნიკოლოზ კვიწინიასეული თარგმანების კრებული „ზღვა ახმაურდა". კრებულში შეტანილია უპირველეს ყოვლისა, გალაკტიონის შემოქმედების მარგალიტები და, ამასთან აფხაზურ თემებზე დაწერილი ლექსები.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ პოეტ ნიკოლოზ კვიწინიას ფასდაუდებელი შრომა გაუწევია. როგორც ცნობილია, გალაკტიონი იმ პოეტთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა თარგმანი უდიდეს სირთულეებთან არის დაკავშირებული.

გალაკტიონის ლექსები თავის დროზე თარგმნეს დ. გულიამ, ქ. აგუმაამ, ბ. შინკუბამ, ი. თარბამ, პ. ბებიამ და სხვებმა, მაგრამ ცალკე კრებულის სახით უკვდავი პოეტის ნაწარმოებები აფხაზურ ენაზე პირველად გამოვიდა. კრებული იხსნება ცნობილი ლექსით „პოეზია უპირველეს ყოვლისა". ამ ლექსის ნ. კვიწინიასეული თარგმანი დედანთან ახლოს დგას როგორც პოეტიკით, ისე შინაარსობრივად. მთარგმნელი ცდილობს აფხაზმა მკითხველმა შეიცნოს ორიგინალის მგზნებარება, სინაზე და სისპეტაკე. ასევე მაღალმხატვრულად და ორიგინალთან მიახლოების წადილით არის შესრულებული ცნობილი შედევრები „მერი", „მე და ღამე", „მშობლიურო ჩემო მიწავ". ნ. კვიწინიამ „მერის" თარგმანს შეუნარჩუნა შინაგანი სევდა, ფერადოვნება, ინტონაციის საოცარი ძალა და ხიბლი.

ცნობილია, რომ გალაკტიონი არა მარტო სულიერად, არამედ ორგანულად და ნათესაურადაც კი იყო დაკავშირებული აფხაზეთთან. ამის თაობაზე თავად წერს ავტობიოგრაფიაში: „ჩემი წინაპრები დედის ხაზით მოდიან აფხაზეთის მეფეების შერვაშიძეთა გვარიდან. ჩემი დიდედის, გურული ქალის, ბერიძის დედა იყო შერვაშიძის ასული, ამგვარად, ჩემში არის სამნაირი სისხლი: აფხაზის, გურულისა და იმერლის". ამ სტრიქონების ავტორი წრფელი სიყვარულით იყო გადაჯაჭვული აფხაზეთთან, მუდამ მისკენ მიიჩქაროდა, ქმნიდა მასზე ლექსებს. აი, რას წერდა კრიტიკოსი რ. თვარაძე კრებულ „რიწის" ფურცლებზე: „აფხაზური ციკლი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის მოუკვეთელი ნაწილია, ამ პოეზიის მშვენებათაგანი, მასავით გაუხუნარი და მარად მომხიბვლელი. ამასთან, ეს არის ციკლი იმ გაგებით, როგორითაც არაერთი პოეტი ქმნის ციკლებს ამა თუ იმ კუთხეში მოგზაურობის, თუ ორ-სამ თვეს იქ ცხოვრების შედეგად. ამგვარი ტურისტული, ზერელე ხედვა უცხო იყო გალაკტიონ ტაბიძისათვის... ეს პეიზაჟებისა და პეიზაჟთა ხილვით აღძრული განწყობილებების ჯამი კი არ არის, შემოქმედის მთლიან მსოფლმხედველობას შერწყმულ ულრმეს ხილვათა საგანძურია".

ნ. კვიწინიას განსაკუთრებული სიყვარულითა და სითბოთი უთარგმნია „აფხაზური ციკლი". ეს ციკლი კიდევ ერთხელ გვაგრძნობინებს, რომ მისი ავტორი ზედმიწევნით კარგად იცნობდა აფხაზეთს, მის ისტორიას. დიდი პოეტი სინაზითა და სიყვარულით მიმართავს აფხაზეთს: „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი, ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია. შევპარა გულს რაღაცა სენი, მომენატრა ზღვა, რომელიც შორია. მომაგებე შენ იგივე პალმა, სად ოდესმე მშვენიერმა ქალმა გადიწერა ზღვაზე ლექსი ჩემი: მომაგებე მშობლიური მიწა, შენი ძველი მეგობარი მიცან".

მთარგმნელმა აფხაზი მკითხველები აზიარა გალაკტიონის პოეზიის სითბოსა და გულწრფელობას. ჩვენი აზრით მთავარი ეს გახლავთ. სწორედ ამიტომ მისატევებელია კრებულის მცირეოდენი ნაკლი — მაგალითად, აქა-იქ დარღვეულია გალაკტიონისეული მეტრი და ზომა ლექსისა, ყველგან როდია მოძებნილი ორიგინალის ცალკეული სიტყვების ზუსტი ადეკვატები და სხვ. სასიხარულო და მოსაწონი ის არის, რომ ნ. კვიწინიამ კარგად იცის ქართული ენა. აფხაზურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიაში ამ მხრივ ჯანსაღ და მისაღებ ტრადიციას კარგა ხნის წინათ ჩაეყარა საფუძველი და იგი კვლავაც წარმატებით გრძელდება.

გალაკტიონის აფხაზი მკითხველისათვის კიდევ უფრო მიახლოება, თქმა არ უნდა, ერთობ სამადლო საქმეა. ამიერიდან იგი აფხაზი მკითხველისათვის ისეთივე საყვარელია, როგორც ყოველი ქართველისათვის, მით უმეტეს, რომ დიდი პოეტის „აფხაზური ციკლი" ორგანული ნაწილია მისი მთლიანი შემოქმედებისა. სასიხარულოა, რომ გ. ტაბიძის საიუბილეო წელს, როცა მთელი საქართველო კიდევ ერთხელ განიცდის და აღიქვამს პოეტის შემოქმედების გენიას, აფხაზმა მწერლობამაც თქვა თავისი მოკრძალებული სიტყვა, ამ ზეიმის დღეებში მშვენიერი კრებული მიართვა მადლიერ მკითხველს.

რუსლან ქაპბა.

ქ. სოხუმი.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

მშენებლობაზე

ზ. დათუაშვილის ფოტო.

საიუბილეო საჩუქარი

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის წიგნის პალატის განყოფილების გამგემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა ბიბლიოთეკარმა თინათინ მექანარიშვილმა თელავის სახელმწიფო ეთნოგრაფიულ მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა თავისი მეუღლის, აწგანსვენებული ცნობილი მხატვრის ტარიელ ბარდაძის ფერწერული ტილო „ერეკლე II კრწანისის ბრძოლის წინ". სურათი, რომლის ზომაა 2,62X5,48 სმ, ასახავს იმ შავბედით დღეს, როცა ქართველთა მცირერიცხოვანი ლაშქარი გმირულად შეება აღა-მაჰმად-ხანის მრავალათასიან ურდოს; ტილოზე წინა პლანზეა თეთრ ცხენზე ამხედრებული ერეკლე, რომელიც ამ საბედისწერო ბრძოლის წინ სიტყვით მიმართავს ქართველთა ლაშქარს.

— ამ ტილოზე სამ წელიწადს მუშაობდა ჩემი მეუღლე (1947-1950 წ.წ.) და მისი სადიპლომო ნაშრომია. და თქვენდამი, თელავისა და თელაველებისადმი უდიდესი სიყვარულის ნიშნად მინდა ეს ნაშრომი აქაურ მუზეუმს ამშვენებდეს, — თქვა საჩუქრის გადაცემისას თ. მექანარიშვილმა.

რაიონის ხელმძღვანელობამ და ქალაქის ინტელიგენციამ დიდი მადლობა გადაუხადეს თავის მხრივ ქველმოქმედ ქალს ძვირფასი საჩუქრისათვის.

ფერწერულმა ტილომ თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გალერეაში დაიდო ბინა, როგორც გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავის აღსანიშნავმა საჩუქარმა.

დ. გერგიშვილი,

„კომუნისტის" საკ. კორ.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს ეძღვნება

შემოქმედის ხუთწლედი

ყველგან — ოქროსფერ მინდვრებში, ხავერდოვან ჩაის პლანტაციებში, თვალწარმტაც ბაღ-ვენახებში, მოგუგუნე ქარხნებსა თუ სამეცნიერო აზრის სარბიელზე, სამშობლოს საკეთილდღეო შრომის ცეცხლი ანთია. სამომავლო ფიქრი ტრიალებს... და, ცხადია, მწერლის გულიც თავისი შემოქმედებითი გეგმების ხორცშესხმას ესწრაფვის, მწერალსაც თავისი პირადი ხუთწლედი აქვს.

რას ვფიქრობ, რა განმიზრახავს მე ჩემს ხუთწლედში? ის, რომ კვლავინდებურად ვუმღერო ახალ საქართველოს, მისი ბოლო ათწლეულის დიდ, ისტორიულ გმირობას, მის უფრო დიდ მომავალს...

ამ ბოლოს ლირიკულმა პროზამ გადამძლია — პატარა მოთხრობების წერა დავიწყე. ერთი მათგანი („წვიმა") უკვე გამოვაქვეყნე და ჩვენი ქალთა ჟურნალის პრემია მომეკუთვნა. ვნახოთ, რას მეტყვის მომავალი.

ვმუშაობ წიგნზე, რომლის სათაურია: „როგორ ვწერთ, როგორ ვსაუბრობთ?"

ვეტრფი და ვადიდებ ერთა ძმობა-მეგობრობისა და ურთიერთსიყვარულის ძვირფას და ნეტარ გრძნობას. მხიბლავს რუსი ადამიანის პატიოსნება, გულმართლობა, შრომისმოყვარეობა... ვწერ ლექსების ციკლს, რომელსაც დიად თარიღს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს ვუძღვნი. ამ ციკლის რამდენიმე ლექსს დღეს მორიდებით ვთავაზობ „კომუნისტის" მკითხველს.

ალექსანდრე ბეჟაშვილი

როგორც მშვიდობის მტრედის მოფრენას...

მოსკოვში გაიხსნა მუდმივი გამოფენა „ქართველების მოსკოვში დასახლების" შესახებ.

როგორც მშვიდობის მტრედის მოფრენას,
ისე გავუღეთ რუსეთს კარები...
ამას გვიამბობს ეს გამოფენა,
ეს ფარ-შუბები, ეს უსტარები.
ძველო დროშებო, თავზე დაგხარით,
დროშებო, კალთებშემორუჯულო...
იმედად გვყავდა რუსთა ლაშქარი,
როცა გვესხმოდა თავზე ურჯულო.
როცა რუსეთი მომხდურს სცელავდა, —
მტრის ურდოების მიმომფანტველი, —
ქართველ მებრძოლთა ხმლებიც ელავდა,
რუს კაცს მხარდამხარ იდგა ქართველი!
ამ სახლს, ამ კედლებს, — ღელვის კაცი ვარ, —
მინდოდეს, — მშვიდად ვერ გავეცლები...
აქ, ამ დარბაზში თავზე მაცვივა
ბაგრატიონის ხმლის ნაპერწკლები.
აი, გაცოცხლდა მეფე ვახტანგი,
მდუღარე ცრემლი ველარ დამალა...
სამშობლოს სევდით ნაწვავ-ნადაგი
გარს ახვევია თავის ამალა...
კედლებს უნდება ვაჟკაცს ბეჭები —
თავზე დამცქერის პეტრე ზვიადი...
შავგვრემან სახეს აზის ბეჭედი
სიბრძნის, სიდინჯის და სიდიადის.
ჩვენ — გულნატყვიართ,
ჩვენ — სისხლნაწვიმართ
გვიხსნიდა მისი მკლავი ძლიერი...
ცუდ დროს დახუჭა თვალი არწივმა,
ვერ შეიფარა ფრთის ქვეშ ივერი.
და თუმც ენადა მტერს აოხრება,
ვერ ამოგვძირკვეს, ვერ გადაგვთელეს...
რუსეთის ძმობა და დამოყვრება
ნინაპრებისგან მოგვდგამს ქართველებს!
ამას გვიამბობს ეს გამოფენა,
ეს ფარ-შუბები, ეს უსტარები...
როგორც მშვიდობის მტრედის მოფრენას,
ისე გაქუღეთ რუსეთს კარები.

ტიხონოვის აგარაკი

გამოკეტილა ლურჯი ჭიშკარი,
მე ამ ჭიშკარსაც ვუცქერ ალერსით...
აქ ქართლის ტრფობა, როგორც ცისკარი,
ენთო მოხუცის ცისფერ თვალებში.
აქ, ამ ფიჭვებთან,
აქ, ამ ცირცელთან,
მახსოვს, გამოჩნდა შუბლი ნათელი,
აქ, ამ ჭიშკართან გული მიცემდა,
თრთოლვით ვესტუმრე მგოსანს ქართველი.
ათასჭირნახულ პოეტს ჭაღარა,
ვით ლომს ფაფარი, ისე შვენოდა...
მან სიხარულის ცრემლი დაღვარა,
რადგან ვესტუმრე საქართველოდან.
როგორ ილტვოდა ჩვენსკენ ყოველთვის
მისი გული და მისი გონება!..
რა თბილად შემხვდა დიდი პოეტი.
ო, რა ტკბილია ეს მოგონება:
ვხედავ: ილია!
ვხედავ: აკაკი!
ვხედავ: მაღალი კოშკი სვანური...
აქ თითქოს ქართლის რუ მორაკრაკებს,
ისმის ხმატკბილი იავნანური!..
ვხედავ: კოლხეთის მწვანე მდელოა,
ვუცქერ ვარძიას, მინას ასპინძის....
თითქოს მეორე საქართველოა
მყუდრო სავანე ჩემი მასპინძლის!
ვხედავ: კედელზე ჩანს რუსთაველი,
მოხუცი, თმანვერჩამოთოვლილი...
ჩემს ტკბილ მასპინძელს ჩვენი მთა-ველი
აქვს მტკაველ-მტკაველ ფეხით მოვლილი.
მან გაიხსენა, მინა ქართული
რომ ეგო ფეხქვეშ როგორც ხავერდი;
ვაზის რქა რქაზე გადახლართული,
გრემი, გელათი და ალავერდი;
მან გაიხსენა არმაზი ძველი,
ახსენა ქართლის ბევრი მგოსანი;
ჩვენი სამოთხე — ალაზნის ველი,
გალაკტიონი და ფიროსმანი;
მან გაიხსენა ვაჟას გენია,
ბასრი მახვილი ჩვენთა მეფეთა...
პირმნათი გოგლაც მოიხსენია
და ლანვზე ცრემლი ჩამოეწვეთა.
მერე ჯუგაანს ფიქრით გახედა,
იკითხა, სანდრო როგორ არისო...
და მოაგონა ჩვენმა კახეთმა
ბევრი დღე, ტკბილი და სახალისო.
ვაგლახ, მოყვრებმა კუბოს კარამდის,
ერთად დატოვეს ეს მზე ნათელი,
მაგრამ ენთება აწ და მარადის
იმათი ძმობის წმიდა სანთელი!
ავი გრიგალი ამ წმიდა სანთელს
სამტროდ ვერასდროს გაეკარება...
რუსს საქართველო,
რუსეთი — ქართველს
უყვარდა., უყვარს და ეყვარება!

ახალ საქართველოთი...

პირველი დღე პერედელკინოში (მოსკოვის გარეუბანი), მწერალთა შემოქმედებითს სახლში.

ნამი ამკობს ვერცხლად
მაღალ არყის ხეებს...
აქ ყაყაჩო ცეცხლად
ეკიდება ტყეებს.

მოლი სხივზე ელავს —
მოშრიალე ფარჩა...
სიცხის ბული მწველი
შორს, სამხრეთში დარჩა.

სიყვარულის ზღურბლზე
გულს ხალისი ერთვის...
მეამება შუბლზე
სიო ჩრდილოეთის.

ზოგი ციმბირს ახსენებს —
თოვლს, ქარბუქს და ყინვას,
ზოგი დონის ტალღებზე
სხივთა ციაგს, ბრწყინვას...

ზოგი შუა აზიის
მზის სხივების კოცონს...
ყველას თავის ქვეყანა,
თავის მიწა მოსწონს.

ჩემი ჯერიც დადგა,
მეც მომაპყრეს მზერა...
კავკასიის მთები
ფიქრმა გადმოსერა,

გამახსენდა თბილისის
ის ვარდობის ჟამი,
იმ მაისთა მაისს
რიცხვი ოცდახამთ..

დარბაზს ტაში არყევდა
ნეტარების დრო-ჟამს...
საქართველო არხევდა
განახლების დროშას!

გამახსენდა: მოედანს
ვერ მოვწყვიტე თვალი...
თბილისს გულზე ეკიდა
სიხარულის ალი...

ზღვის ტორტმანი მეგონა
ხალხის ტალღის რხევა...
სხივთა ფრქვევა მეგონა
დიმის გადმოფრქვევა...

ქარიშხალი მეგონა
დროშების ტყის ქარი...
თბილისს გულს ჩაეკონა
ჩვენი ალმადარი...

გამახსენდა სამშობლოს
მინდვრები და მთები,
კროლვა მწვერვალებისკენ
და არწივის ფრთები...

გამეშალა მხარბეჭი,
მომემატა ღონე:
ახალ საქართველოთი
თავი მოვიწონე!

ნოველების კრებული

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა მწერალ გიორგი ციციშვილის ნოველების კრებული „სიყვარული სისხლის წვიმების დროს".

ჩვენმა ცნობილმა კრიტიკოსმა და ლიტერატურათმცოდნემ ბოლო ხანს შესანიშნავი მოთხრობები და რომანები შემოგვთავაზა და მკითხველის ყურადღებაც უმალ მიიქცია წერის მაღალი კულტურით, ნატიფი სტილითა და მძაფრი სიუჟეტებით.

„სიყვარული სისხლის წვიმების დროს"... „ეს წიგნი დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებს ეხება, — ვკითხულობთ ანოტაციაში — იგი იმ სულიერი ძვრების ჩვენებას ცდილობს, რომლებსაც ეს უმაგალითო ომი ადამიანებში იწვევდა... ეს არის წიგნი ადამიანურ სიყვარულზე ყველაზე ძნელი გამოცდის ჟამს, საომარი წარღვნის უმძვინვარეს დღეებში, სისხლის წვიმების დროს".

წიგნის რედაქტორია თ. დაუშვილი, მხატვრები — ზ. მეძმარიაშვილი და გ. გიგაური.



16 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო ცირკში გაიხსნა ახალი სეზონი. ამჟამად მის არენაზე სომხეთის სსრ დამსახურებული საცირკო კოლექტივი გამოდის. ორგანიზაციებიანი საინტერესო საცირკო წარმოდგენა საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავს ეძღვნება.

სურათებზე: მხეცების შემრეული ჯგუფის მომთვინიერებელი, სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი მ. ბაღდასაროვი; აკრობატული ანსამბლი „გაიანე".

ს. კილაძის ფოტო.



როცა გულით ხარ მკურნალი...

ავადმყოფის მაჯა დიდხანს ეჭირა... გონების იდუმალ დაფაზე უხმოდ იწერებოდა: მაჯისცემა — წუთში 105, ტემპერატურა — 37 და 8, გამომეტყველება უმწეო, მიბნედილი... ახლა წნევას აპარატს გადასწევდა — ვერცხლისწყლის სვეტი 140/80 უჩვენებდა...

საექიმო პუნქტში პირდაპირ სპეცტანსაცმლით მოსული მუშა მორიდებით იხდიდა ზედა ტანსაცმელს ახალგაზრდა ექიმის წინაშე და თან ჯანმრთელობის მკვეთრ გაუარესებაზე ბუზღუნებდა. მდგომარეობამ, ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა თერაპევტი, ფონენდოსკოპი მომარჯვა და მთელი გულისყურით შეუდგა პაციენტის გასინჯვას. მკურნალის სმენას მოსწვდა აწანივით სწვდებოდა უცნაურად მღერი ბგერები...

ორი დღეა თავს ცუდად ვგრძნობ, ექიმო, მკერდში ნემსივით მჩხვლეტს, რაღაც მეშინია კიდეც, გული...

— არ გიმტყუნოთ, არაფერი! ნუ გეშინიათ, საგანგაშო არაფერია. ამ წამლებს მიიღებთ და კარგად გახდებით. ექიმმა რეცეპტი გაუწოდა და გამოჯანმრთელება უსურვა ავადმყოფს.

პაციენტი რომ გავიდა, გაახსენდა, როგორ აბარებდა მისაღებ გამოცდებს ქ. ორჯონიკიძის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. მერე ბავშვობას გადასწვდა გონების თვალით, — გაზაფხულის ლამაზი ყვავილებით მორთულ-მოკაზმულ ხალიჩად წარმოუდგა იგი. ინსტიტუტის კედლებში ეწვია პირველი სიყვარული, ბედნიერი ოჯახი შექმნა და მეუღლესთან და პირველ ვაჟიშვილთან ერთად გამოემგზავრა მშობლიურ თბილისში.

აქ, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის პოლიკლინიკაში გასინჯა დამოუკიდებლად პირველი პაციენტი. ეს ის ღელვანარევი სიხარული გახლდათ, ახალგაზრდა დედა რომ სათუთად გაუხსნის ერთადერთ პირმშოს საკინძეს და მთელი არსებით მიაყურადებს მის გულისცემას.

ნათქვამია, კარგი ექიმი ჯერ ენით კურნავს ავადმყოფს, შემდეგ — წამლითო. ალბათ, მისნაირებზე თუ უთქვამთ ეს.

— კარგად მახსოვს პოლიკლინიკაში მოსვლის პირველი დღე, იხსენებს თერაპევტი ლილი ბუთხუზი, — კაბინეტში მორიდებით შემოვიდა პირველი პაციენტი — შუახნის მანდილოსანი და სავარძელში უღონოდ ჩაესვენა... სუნთქვა უჭირდა. ვიდრე რამეს შემომჩივლებდა, ფანჯარა შევაღე და შინაურული საუბარი გავუბი. და ისიც ალაპარაკდა, ჩემდამი ნდობითა და იმედით აღსავსე... ამან, ავადმყოფის ასეთმა ნდობამ, უფრო გამამხნევა და გულდინჯად დავუწყე გასინჯვა... ავადმყოფი გულს უჩიოდა, მე კი ფილტვების სისუსტე მეწინა, რაც შემდგომმა სათანადო ანალიზურმა გამოკვლევამაც დაადასტურა.

ვინ მოთვლის, რამდენი ავადმყოფი განუკურნავს მას შემდეგ, რამდენისთვის დაუბრუნებია მხნეობა. პარალელურად კი, სამედიცინო დისპუტებზე, დღითი დღე იღრმავებდა ცოდნას და ცხინო კონფერენციებსა თუ თერაპიულ გამოცდილებას.

დღეს კი ენდობიან, უყვართ და იმედებენ მისი. ამიტომაც გასცდა მისი სახელი პოლიკლინიკის კედლებს და საიდან აღარ აკითხავენ სნეულნი. და მკურნალიც მუდამ პოულობს „ზედმეტ დროს" მათთვის, არ დაიზარებს, ოღონდ უშველოს, ოღონდ იმედის სხივი ჩაუწვეთოს გულში „შორით მოსწავლებულ" ავადმყოფებს. მუდამ ხალისიანი და იმედიანი ეგებება პაციენტებს, თუმცა... თვითონ სწორედ მაშინ უმტყუნა ბედმა, როცა ასე სჭიროდებოდა ოჯახური სიმშვიდე, — მეორე ვაჟი ჯერ კიდევ აკვანში ჰყავდა, მეუღლე რომ გამოეცალა ხელიდან. გაუჭირდა ორი მცირეწლოვანი ბავშვის აღზრდა, შინ თუ გარეთ, მტერ-მოყვარის ღირსეულად დახვედრა, მაგრამ გამხნევდა, ვაჟკაცურად გაუძლო ყოველივეს და ღირსეული შვილებიც დაზარდა.

1975 წლიდან უწევს ლილი ბუთხუზი პერსონალურ მომსახურებას ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მუშებს და ჯერაც არავის დასცდენია ძვირი მის მიმართ. ის კი არადა, ქარხანასა თუ მის ახალ დასახლებაში ხშირად გაიგონებთ სიყვარულით ნათქვამ სიტყვებს: „ლილი ექიმი მოვიდა", „ლილი ექიმმა გამისინჯა", „ლილი ექიმმა მომკურნალა"...

...აი, ახლაც, სამუშაო საათები კი დამთავრდა, მაგრამ კართან მაინც ელოდებიან ავადმყოფები.

— მობრძანდით, ეუბნება მორიგ პაციენტს და, გაკვირვებული შეჰყურებს, — ეს ხომ ცირკია — ხიდური ამწის ყოფილი მემანქანე!? მისი ფერმკრთალი სახის დანახვაზე გული შეეკუმშა ლილის, გრძნობს, უთქმელი რომ სევდა-რომ ჩასახლებია თვალებში. ცოტაც და, კართან ატუზული პაციენტები ხედავენ, როგორი გამხნევებული და იმედიანი გამოდის ცირკი ოთახიდან, ხედავენ და გრძნობენ, რომ ეს ლილი ექიმის „ბრალია".

...მთავრდება „საკუთარი სამუშაო დღე"... ღიმილით ესალმებიან ყველანი ქუჩაში მომავალ მკურნალს, წრფელი სიყვარულით გაციალებულები თვალებით მიაცილებენ შინისაკენ.

ფ. სოხიშვილი.

ჭადრაკი

საზონათშორისო ტურნირებზე

მძაფრი მეორე ტური

მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის თბილისის საზონათშორისო შეჯიბრების მეორე ტურში გურიელის შეხვედრა მინოგინასთან სულ 18 სვლა გაგრძელდა, მაგრამ დიდი მღელვარება განაცდევინა მაყურებელს. პარტიის სიმწვავე ორმა გარემოებამ განაპირობა: მეტოქეების შეუპოვარმა სტილმა და არჩეულმა სიცილიურმა დასაწყისმა. ქართველმა მოჭადრაკემ გრძელ როქს მიმართა, მინოგინამ კი თავისებურ ტაქტიკას. მან მეფე ცენტრში დატოვა, არც მეფის ფრთის ფიგურების განვითარებაზე უზრუნია და ნაადრევი შეტევა წამოიწყო. უკვე მე-12 სვლაზე შავებმა ფიგურა შესწირეს და მუქარა შეუქმნეს თეთრების მეფეს. პოზიცია ფრიად გამწვავდა. 15 სვლის შემდეგ გურიელს ნახევარი საათიღა დარჩა. ამ მხრივ მინოგინას უკეთ ჰქონდა საქმე. როგორც გურიელის ერთერთი მწვრთნელი, საერთაშორისო ოსტატი ოსნისი მიიჩნევს, თბილისელმა ხელიდან გაუშვა შავების იერიშის უვნებლად მოგერიების კარგი შესაძლებლობა პოზიციაში, სადაც თეთრებს ზედმეტი ფიგურა ჰქონდათ, მაგრამ მინოგინა ტაქტიკურ მუქარას ქმნიდა. საბოლოოდ მეტოქეებმა ყაიმზე შეთანხმება არჩიეს.

სევერაიდ-ლევიტინას შეხვედრაში ასევე სიცილიური პარტია გათამაშდა. ამერიკელმა მიმართა პოპულარულ ვარიანტს, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე დაიმუშავა ცნობილმა საბჭოთა თეორეტიკოსმა სოზინმა. სხვათა შორის, ამ ვარიანტს თავის დროზე სისტემატურად, დიდი წარმატებით იყენებდა ფიშერი. ცხადია, ყველა ამერიკელი ფიშერი არ არის, და თეთრებმაც, თუმცა ფიგურის მეწირვით ძლიერი იერიში მიიღეს, შემდეგ ვეღარ გაართვეს თავი პრობლემებს. ლევიტინა, შეიძლება ითქვას, უნივერსალური მოჭადრაკეა. მან ერთნაირად იხერხება შეტევაც და დაცვაც. მან რამდენიმე ზუსტი სვლით მოიგერია თავდასხმა და აიძულა მეტოქე შეეწყვიტა წინააღმდეგობა.

პიხაილიჩ-ტიტორენკოს პარტიაში (კარო-კანის დაცვა) იუგოსლავმა მოჭადრაკემ ერთ უმნიშვნელო გაგრძელებას მიმართა და, ეტყობა, მიიღო კიდეც მოხანს, დააბნია მეტოქე. შემდგომში მწვავე შეჩლა-შემოხლა პიხაილიჩის გამარჯვებით დამთავრდა. შილან-გარსიას პარტიას სამგორივე შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ყაიმით დასრულდა.

ხელიდან ხელში გადადიოდა უპირატესობა ფიშდიკ-ახმილოვსკაიას შეხვედრაში. ოთხი მხედრის დებიუტი წყნარ დასაწყისად ითვლება, რომელიც თეთრებს უპირატესობას არ აძლევს. ამასთან ფიშდიკი შეცდა და უარეს პოზიციაში აღმოჩნდა. შუა თამაშში უკვე ახმილოვსკაიამ ითამაშა უზუსტოდ და ფიშდიკის ფიგურები მყისვე გამოიცოცხლდნენ. ახლა დასავლეთგერმანელმა მიიღო აშკარა უპირატესობა. გადადებულ პარტიაში მას მოგების შესაძლებლობა აქვს. კვლავ ჩიხებულად ითამაშა ინდოელმა კადილკარმა. მას შეწყვეტილ ენდშპილში მატერიალური და პოზიციური უპირატესობა აქვს გუგენბერგერთან. მურეშანმა აშკარად აჯობა ნიკოლინს. სამი ზედმეტი პაიკი გადადებულ პოზიციაში მურეშანს მოგების სრულ გარანტიას აძლევს.

ორი შესაძლებლიდან ორი ქულით ლიდერობს ირინე ლევიტინა, რომლის თამაში ჯერჯერობით საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს.

მესამე ტურში დასრულდა ყველა პარტია. ახმილოვსკაიამ მოუგო პიხაილიჩს, ტიტორენკომ — გუგენბერგერს, კადილკარმა — სევერაიდს. ლევიტინა-გურიელი, გარსია-ფიშდიკი, ნიკოლინი-მილანი და ვერეცი-მურეშანი ყაიმზე შეთანხმდნენ.

დღეს მთავრდება სამი ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. ხვალ მოიგო მეოთხე ტური. გურიელი თეთრებით ეთამაშება კადილკარს.

გ. გამრეკელი.

* * *

მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის მოსკოვის საზონათშორისო შეჯიბრებაზე გათამაშდა მერვე ტურის პარტიები. ბელიავსკიმ დაამარცხა ქრისტიანსენი, გელერმა — ანდერსონი, ტალმა — ველიმიროვიჩი. ყაიმზე შეთანხმდნენ კასპაროვი და გარსია, აგრეთვე საქსი და გეორგიუ. გადაიდო კინტეროს-ვან დერ ვილისა და მურეი-როდრიგესის პარტიები. რვა ტურის შემდეგ კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს კუბელი გარსია. მას 6 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან კასპაროვი, ტალი, ბელიავსკი — 5,5-5,5 ქულა, ანდერსონი — 4,5 (1 გადადებული), გელერი — 4 (1), როდრიგესი — 3 (1), გეორგიუ, ველიმიროვიჩი — 2,5-2,5 (ორ-ორი გადადებული), საქსი — 2,5 (1), ქრისტიანსენი — 2,5, მურეი — 2 (2), ვან დერ ვილი — 1,5 (2), კინტეროსი — 1 ქულა და 1 გადადებული პარტია.

სპორტული ორბიტა

სპორტული ტანვარჯიში. ჩელიაბინსკში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატზე ვაჟთა შორის აბსოლუტური პირველობა მოიპოვა ლვოველმა ბ. მაკუცმა — 115, 65 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა მინსკელი პ. სუთი — 114, 525, მესამეზე — ვლადიმირელი ი. კოროლიოვი — 114, 40 ქულა.

ფეხბურთი. გაიმართა პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეთოთხმეტე ტურის მატჩები. ლანჩხუთის „გურია" იასპარეზა სტუმრად — იაროსლაველის „შინნიკთან". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0.

ძალოსნობა. სმოლენსკში მიმდინარე სოფლის სპორტსმენთა საკავშიროასპარეზობაზე სამი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა ლეონიდ ტარანენკომ (110 კგ-ზე წონითი კატეგორია, ბელორუსია), მან თავდაპირველად 193,5 კგ. აიტაცა, შემდეგ — 195 კგ. ორჭიდის ჯამი სარეკორდო გამოდგა — 432,5 კგ.

ველოსპორტი. გრძელდება საერთაშორისო შეჯიბრება „ექვსი დღე თბილისში". 100 წრეზე 20 შუალედური ფინიშით მეოთხე ეტაპის შემდეგ ლიდერობს სსრ კავშირის ნაკრების წევრი, დინამოელი ი. რომანოვი. მას კვალში უდგანან ასევე დინამოელები — ვ. მაზინსკი და ს. ტროფიმოვი.

მორიგი შეხვედრები

დღეს უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები გაიმართება. „შახტიორი" მიიღებს „ზენიტს", „ყუბანი" — მინსკის „დინამოს", „დნეპრი" — „ჩერნომორეცს", „მეტალისტი" — „კიევის „დინამოს", „ნეფთჩი" — „არარატს", „ფახტაქორი" — „სპარტაკს", „ყაირათი" — მოსკოვის „დინამოს", ქუთაისის „ტორპედო" — თბილისის „დინამოს".

რედაქტორის მოადგილე ლ. კიკნაძე.

ტელევიზია

19 სექტემბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — კონცერტი. 10.30 — „მალვიძარა". 11.00 — „ვემსახურები საბჭოთა კავშირს". 12.00 — „ჯანმრთელობა". 12.45 — ღილის ფოსტა; 13.15 — „პიონერია". კინოჟურნალი. 13.30 — სოფლის საათი. 14.30 — მუსიკალური კიოსკი. 15.00 — მცენარეთა სამყარო. 15.45 — „მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება". ინდოეთი. 16.15 — მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში. 17.00 — კინომოგზაურობის კლუბი. 18.00 — დღეს ტყის მუშაკთა დღეა. 18.15 — „გილოცავთ". მუსიკალური პროგრამა ტყის მუშაკთა დღის გამო. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მულტფილმები. 20.15 — ჟ. ბიზე — „კარმენი". სსრ კავშირის დიდი თეატრის სპექტაკლი. 22.00 — „ვრემია". 22.35 — დიდი თეატრის სპექტაკლის გაგრძელება. 23.50 — საფეხბურთო მიმოხილვა. დამთავრების შემდეგ — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — ტყის მუშაკთა დღის გამო. დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 10.05 — მხატვრული ტელეფილმი „გამარჯობათ, მე თქვენი დეიდა ვარ!". 11.45—კონცერტი. 12.15— მხიარული სტარტები. 13.00—დოკუმენტური ფილმები. 13.10 — „ფესტივალები... კონკურსები... კონცერტები". 14.30—აშკარა — დაუჯერებელი. 15.30 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. 16.15 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 16.45 — მრავალსერიიანი მხატვრული ტელეფილმი „მისი უდიდებულესობის ადიუტანტი". მეოთხე სერია. 18.00 — ფეხბურთი. „ფახტაქორი" — „სპარტაკი". მე-2 ტაიმი. 18.45 — მულტფილმები. 19.25 — კონცერტი. 19.45 — დიდი ოქტომბრის 65-ე წლისთავის გამო. „ჩვენი ბიოგრაფია". 47-ე ფილმი — „1963 წელი". 20.45 — „მილი ნებისა, პატარებო!". 21.00 — ფეხბურთი. „ყუბანი" — მინსკის „დინამო". მე-2 ტაიმი. 21.45 — დოკუმენტური ტელეფილმი „ყამირის ბაღები". 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — კინონარკვევი „რუსული მიწის ტალანტები". 10.00 — „მოამბე". 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიხეილ ხერგიანი". 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". (განმეორებით). 11.45 — ჩვენი ანონსი". 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45—„ცეროდენას ეკრანი". 13.10 — „ტყის მუშაკის დღე". 13.30 — კონცერტი ტყის მუშაკთა თხოვნით. 14.15 — „კინოაფიშა". 14.45 — დოკუმენტური ფილმი. 15.30 — „ვესტნიკი". 16.00 — „ილუზიონი". 18.30—„მოამბე". 19.00—„საერთაშორისო პანორამა" (მ.). 19.45 — „ჩვენი ლაშქარი"—გულნარა საღარაძე. 20.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე ქუთაისის „ტორპედო" — თბილისის „დინამო". რეპორტაჟი ქუთაისიდან. შესვენების დროს — „ზღაპრის გუდა". 21.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქი და მოქანდაკე". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „გულშემატკივართა კლუბი". 23.50 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.).

თეატრი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — პირველი სიყვარული (სასკოლო აბონემენტი № 11, მე-5 წარმოდგენა, დღისით), ლელა (საღამოს, 26-ე აბონ. მე-6 წარმოდ.); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ძუნწი (დღისით და საღამოს); ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი — საესტრადო ანსამბლი „შოუ-01".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66484 უე 09414 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20